140
1967

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

12
1967



„ექსპო—67“-ის საერთო ხედი.

წლევანდელი აპრილის ბოლოს კანადის ყველაზე დიდ ქალაქში—მონრეალში გაიხსნა მსოფლიო გამოფენა „ექსპო-67“. გამოფენაში მონაწილეობდა 80-ზე მეტი ქვეყანა და, ცხადია, მათ შორის საბჭოთა კავშირიც.

მონრეალის მსოფლიო გამოფენა თავისი მასშტაბით დიდად აღემატება ყველა წინანდელ გამოფენას. იგი მიმდინარეობდა ლაკონიური და ამავე დროს ყოვლისმომცველი დევიზით—„ადამიანთა მიწა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის პავილიონი



10.3779.

უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ხალხი საბჭოთა პავილიონისაკენ

ფოტო ოთარ თურქიასი.

# „ექსპო-67“



გამოფენას 400 ჰექტარი ფართობი ეჭირა, რომლის ნახევარზე საგამოფენო პავილიონები განლაგდა, დანარჩენ ტერიტორიაზე კი — რესტორნები და სხვადასხვა სახის ატრაქციონები. ყველაზე დიდი იყო საბჭოთა კავშირის პავილიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეკორდსმენი საბჭოთა სამკერდე ნიშნების შეგროვებაში

ჩვენი ქვეყნის პავილიონის ექსპოზიცია გამოფენის დამთვალიერებლებს დამაჯერებლად მოუთხრობდა იმ გრანდიოზულ მიღწევებზე, რომლებიც მოიპოვეს საბჭოთა ხალხებმა განვლილი ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 10 ათასი საბჭოთა ექსპონატი, რომლებიც მეტყველებდნენ კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა—მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის უსაზღვრო შემოქმედებით ნიჭზე, დაუშრეტელ ენერგიაზე, დიდი მომავლისადმი ნათელ რწმენაზე... აქ იყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ნიმუშები, თანამედროვე ფაბრიკებისა და ქარხნების მაკეტები, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის და ხელსაწყოთმშენებლობის დარგებში, ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საქმეში მოპოვებული მიღწევების ამსახველი ექსპონატები. და, ცხადია, აქ იყო ჩვენი სახელგანთქმული კოსმოსური ხომალდების მაკეტები...

სსრ კავშირის პავილიონს უდიდესი წარმატება ჰქონდა გამოფენაზე და ღირსეულად დაიკავა წამყვანი ადგილი. იგი დაათვალიერა 13 მილიონმა კაცმა—დამთვალიერებელთა რეკორდულმა რიცხვმა.

საბჭოთა პავილიონში ჩატარდა მოკავშირე რესპუბლიკების დღეები, რომლის დროსაც დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ უფრო დაწვრილებით გასცნობოდნენ ამ რესპუბლიკათა წარმატებებს ეკონომიკასა, მეცნიერებასა და კულტურაში.

15 ოქტომბერს აღინიშნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღე. დილით საბჭოთა პავილიონის წინ საზეიმო ვითარებაში აღმართეს საქართველოს სსრ ალამი. პავილიონის თაღებქვეშ გაისმა საქართველოს სსრ ჰიმნის მელოდია. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი




„პიკის“ საათი მონრეალის ქუჩაში



კანადის პატარა მოქალაქენი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის დღის საზეიმო გახსნა. გამოფენის ათასობით დამთვალიერებელი გულთბილად შეხვდა ზეიმზე ჩასულ საქართველოს დელეგაციას რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **გ. ჯავახიშვილის** მეთაურობით.

საბჭოთა პავილიონში საპატიო ადგილი ეკავა საქართველოს ექსპონატებს. ექსპონატები ასახავდნენ იმ დიდ და სახელოვან გზას, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებმა გაიარეს დიდი ოქტომბრის შემდეგ, ასახავდნენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან მდიდარ კულტურას.

ჩვენი რესპუბლიკის დღის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოსულმა საბჭოთა პავილიონის სტუმრებმა ნახეს დოკუმენტური ფილმი თბილისზე, კინონარკვევები აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილზე და წარმოების ნოვატორ ვასილ პაპინაშვილზე, მონაწილეობა მიიღეს ტელევიქტორინაში «რა იცი საქართველოზე?» ტელევიზორის საშუალებით «იმოგზაურეს» საქართველოში. სტუმრებმა ნახეს აგრეთვე საქართველოს ტელევიზიის დოკუმენტური ფილმი «რუსთაველის ნაკვალევზე», «ქორწილი» და მოკლემეტრაჟიანი ფილმები «უშბაზე ძლიერნი» და «სპორტსმენები».

დასასრულს საბჭოთა პავილიონის სტუმრებისათვის გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი.

29 ოქტომბერს «ექსპო—67» დაიხურა.

მონრეალის გამოფენამ ხელი შეუწყო ჰუმანიზმის იდეებისა და თანამშრომლობის სულისკვეთების გავრცელებას, მსოფლიო პროგრესის განვითარებას.



ამდენ კოლექციონერს სამკერდე ნიშნები ეყოფა.



გ. მესხიშვილი

მოსაღამოვდა. რუსუდანი ეზოში გამოვიდა და კუთხეში ჩამოჯდა. თამაშში გართულმა ბავშვებმა ვერ შენიშნეს. უცებ ერთმა გოგონამ მოჰკრა თვალი, გაუკვირდა: რუსუდანი და მოწყენაო? — თქვა და ამხანაგთან მიირბინა.

— რუსიკო, რამ დაგაღონა?

რუსუდანმა ხმა არ გასცა.

— ვინმემ ხომ არ გაწყენინა? ჰეი, თქვენ, — მიუბრუნდა ამხანაგებს, — ვინ გააბრაზა რუსუდანი?

ბავშვებმა თამაშს თავი გაანებეს და რუსუდანს შემოეხვივნენ.

— რა იყო, რა მოხდა? — ეკითხებოდნენ მას.

— ჩვენ გადავდივართ აქედან. ახალ მასივში მივიღეთ ბინა, — ძლივს ამოღერღა რუსუდანმა.

— მაგას რა სჯობს. იქ დიდი ეზო იქნება. ფეხბურთის და კალათბურთის მოედნებიც მოეწყობა... ხომ გიყვარს კალათბურთი? ჰოდა, ითამაშე რამდენიც გინდა, — უთხრა ერთმა ბიჭუნამ, რომელსაც მაისურზე ნომერი 11 ეწერა.

— რა ყურები ჩამოგიყრია? — ჰკითხა მეორემ.

— აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, ახლა კი სხვა გარემო, სხვა თანატოლები...

— ნუ გეშინია, არ დაგივიწყებთ. ხშირად გეწვევით; ესეც არ იყოს, სკოლაში ხომ შევხვდებით?! — დაიმედეს რუსუდანი ბავშვებმა და ისევ სათამაშოდ გაიშალნენ.

— სკოლაში? — თავისთვის ჩაილაპარაკა რუსუდანმა და ჩაფიქრდა.

კარგი კი იქნებოდა, მაგრამ რანაირად? ახალი ბინიდან სკოლამდე დიდი გზაა. ვაითუ გაკვეთილებზე დააგვიანდეს? დილაობით ავტობუსს ზღვა ხალხი ელოდება, ყველანი სამუშაოზე მიიჩქარიან. დრო დაეკარგება! არა და, არ ეთმობა მშობლიური სკოლა. ახლაც თვალწინ უდგას რუსუდანს ის დღე, გულისფანცქალით რომ შეაღო ამ სკოლის კარი. პირველი გაკვეთილი. დაფაზე სასოებით გამოყვანილი პირველი სიტყვები: აი, ია... საყვარელი მასწავლებლები...

გადიოდა დრო. გადადიოდა კლასიდან კლასში რუსუდანი... ასე მიაღწია მერვე კლასამდე...

რა დაავიწყებს რუსუდანს იმ



**თამარ ყიფშიძე**

დღეს, როცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ ყიფშიძე პირველად შემოვიდა მათ საკლასო ოთახში. რუსუდანი დაფასთან იხმო. ცარცი აიღეო, უთხრა და წინადადება უკარნახა.

რუსუდანი ღელავდა. ასოები აცაბაცა გამოჰყავდა. თამარ მასწავლებელი შეიჭმუხნა... ლამაზი წერა უნდა ისწავლოო, ა-ნი, აი ასე, ნამგალივით უნდა გამოიყვანოო — მასწავლებელმა ცარცი ჩამოართვა და დაფაზე მოხდენილი ა-ნი გამოსახა.

ქართველმა კაცმა შრომის სიყვარული ქართულ ასოებშიც ჩააქსოვაო. ანბანის პირველი ასო ნამგალს მიამგვანა, ბ-ანი სურას, ი-ნი ნალს. ამიტომ ასოებს ფაქიზად უნდა მოვეპყრათო, — საამოდ ესაუბრებოდა თამარ მასწავლებელი მოსწავლეებს...

სწორედ იმ დღეს სთხოვა რუსუდანმა თამარ მასწავლებელს, ქართული ენისა და ლიტერატურის წრეში მიმიღეთო. გაკვეთილების მერე თამარ მასწავლებელმა რუსუდანი თავისთან იხმო, ესაუბრა და პირველი მეცადინეობისათვის მოხსენება დაავალა.

მთელი კვირა თავაუღებლივ მუშაობდა რუსუდანი. წერდა და შლიდა და რაღაცას, შლიდა და წერდა. ბოლოს, მისი ფიქრით, ყველაფერი წესრიგში მოიყვანა და გადაწყვიტა მასწავლებლისათვის ეჩვენებინა...

გაუბედავად დააჭირა ელექტროღილაკს აკანკალებული თითი. მალე კარი გაიღო.

— მოდი, რუსუდან, მოდი, — შეეგება ღიმილით მასწავლებელი და თავის სამუშაო ოთახში შეიყვანა. რუსუდანმა თვალი ვერ მოწყვიტა თაროებზე ფაქიზად დაწყობილ წიგნებს. წიგნები ეწყო მაგიდაზეც, ფანჯრის რაფაზეც.

თამარმა რუსუდანის რვეული გადაშალა. გოგონა ეკლებზე იჯდა, გულისფანცქალით ელოდა, რას იტყოდა მასწავლებელი.

უცებ ზარის ხმა გაისმა. თამარი ადგა და ოთახში თმახუჭუჭა ბიჭი შემოიყვანა.

— რაო, მერაბ, შენ უსაქმოდ არ მოხვიდოდი, — უთხრა თამარ მასწავლებელმა.

ბავშვი უცხო გოგონას დანახვაზე შეიშმუშნა.

— რუსუდან, ეს მერაბია, ჩემი მეზობელი. იცი რა ყოჩაღი ბიჭია? როგორც კი უცნობ სიტყვას მოჰკრავს ყურს, მაშინვე უბის წიგნაკში იწერს, მერე ვი ცდილობს თვითონვე განმარტოს, ბევრჯერ ახერხებს კიდეც. თუ გაუჭირდა, მე მეკითხება... — მერაბ, ხომ არაფერი გინდოდა გეკითხა? —მიუბრუნდა ისევ ბიჭუნას.

— დღეს ერთი სიტყვა, „ლაჟვარდი“ გავიგონე. დედამ მითხრა, ლაჟვარდს ცას ეძახიანო, მე ვი არა მჯერა.

რუსიკოს სიტყვა ენაზე მოადგა.

— რუსუდან, შენ ხომ არ გვეტყვი, ლაჟვარდი რას ნიშნავს? — ჰკითხა თამარ მასწავლებელმა.

— ლაჟვარდი ძვირფას ლურჯ ქვას ჰქვია, ამიტომ ამბობენ, — ცალაჟვარდიო.

— სწორია.

მერაბმა რუსუდანის ნათქვამი უბის წიგნაკში ჩაიწერა, ღამე მშვიდობისაო, თქვა და კარებისაკენ გატრიალდა.

თამარ მასწავლებელი რუსუდანის ნაშრომს მიუბრუნდა, ბოლომდე ჩაიკითხა და გოგონას კმაყოფილებით შეხედა...

ერთხანს კიდევ ისაუბრეს, მერე გახარებული რუსუდანი თამარ მასწავლებელმა კარებამდე მიაცილა... თავად კი ისევ მაგიდას მიუჯდა. ნათურა ჩართო და საკონტროლო რვეულები გადაშალა... გვიანობა-

მდი მუშაობდა, დაიღალა... უკანასკნელი რვეული გაშალა. ნაწერი აჭრელდა. თამარი მოიღრუბლა... — რა ემართება ამ ბიჭს? გაკვეთილზე წყნარად ზის, მაგრამ ეტყობა, ფიქრები სხვაგან გაურბის... იმის თავს რაღაც ამბავია. იქნებ ოჯახში გავიგო რამე?... უსათუოდ უნდა მივიდე...

ლამის შემოათენდა ფიქრებში ჩაძირულ აღმზრდელს. ღამის ოთხი საათი იქნებოდა, როცა მის სამუშაო ოთახში სინათლე ჩაქრა...

მეორე დღეს, გაკვეთილების შემდეგ, რუსუდანი, ნათელა დევდარიანი, ნანა ცინცაძე და ნუგზარ პერტენავა სკოლის ეზოში ჩამომსხდარიყვნენ და ცხარედ კამათობდნენ.

ნუგზარი ამტკიცებდა: ხევისბერი გოჩა არ უნდა შეშლილიყო. მან ხომ თავის გრძნობას აყოლილი, მეგობრის მოღალატე მოკლაო. ონისეს სიკვდილს გოჩას ნებისყოფა არ უნდა შეერყია, იგი ისევე მტკიცე უნდა დარჩენილიყო, როგორც მანამდის იყოო.

— არა ხარ სწორი, ნუგზარ, — თქვა რუსუდანმა, — ონისე ხომ გოჩას ერთადერთი შვილი, მისი იმედი იყო და მას სწორედ ეს იმედი გამოეცალა. ამიტომ დაეცა ეს დევგმირი მამა.

— გოჩა ჭკუაზე იმიტომაც შეიშალა, — ჩაერია ნათელა, — რომ შვილი ისეთი ვერ გაზარდა, როგორიც ხევისბერს ეკადრებოდა...

ეზოში მზია ჯანგულაშვილმა ჩამოირბინა. — თამარ მასწავლებელი გეძახით. მეცადინეობა იწყებაო, — უთხრა ამხანაგებს.

კამათი წრის მეცადინეობაზე გაგრძელდა.

თამარ მასწავლებელი გულისყურით უსმენდა ბავშვებს. სახეზე ღიმილი გადაფენოდა. ახარებდ მისი აღსაზრდელები ასე საღად რომ მსჯელობდნენ დიდ, ადამიანურ საკითხებზე.

კამათი გაცხარდა...

ბოლოს, მასწავლებელი წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. ბავშვები გაინაბნენ.

თამარმა ილაპარაკა სამშობლოს სიყვარულზე, ადამიანობაზე, მამაშვილობაზე, მეგობრობაზე...

კიდევ ერთი ამბავი აგონდება რუსუდანს. მათი თანაკლასელი არჩილი ბოლო დროს უგუნებოდ იყო, მეგობრებს არ ეკარებოდა გულჩათხრობილი გახდა. მეგობრები შეეცადნენ გაეგოთ, რა აწუხებდა არჩილს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და ვითომ თავი მიანებეს, — ჩუმად კი ეს ამბავი თამარ მასწავლებელს შეატყობინეს.

ამასობაში მეოთხედი მიიწურა...

გახალისებული დაბრუნდნენ მოსწავლეები არდადეგების შემდეგ. არჩილიც გახალისებული ჩანდა. მიხვდნენ ბავშვები — აქ თამარ მასწავლებლის ხელი ურევიაო.

თამარ მასწავლებელს არდადეგების დროს არჩილისათვის კონსტანტინე გამსახურდიას რომანი — „დიდოსტატის მარჯვენა" უთხოვებია. არჩილი წიგნის შინაარსს გაუტაცნია, ორ დღეში წაუკითხავს. მერე ეს წიგნი მასწავლებელს არჩილისათვის უჩუქებია და ზედ „ჩემს უმცროს მეგობარსო" — წაუწერია...

„მაინც როგორია ჩვენი კლასი, — ფიქრობდა რუსუდანი, — არცერთი ოროსანი არა გვყავს. არა, მე ამ სკოლას ვერ მოვცილდები. სულ ორი წელიღა დარჩა. ორი კი არა, ხუთი წელიც რომ იყოს, მერე რა! ისიც არაფერია, გზაზე ორი ავტობუსი რომ უნდა გამოვიცვალო. დილით ადრე ავდგები, საღამოს კი უფრო გვიანობამდე ვიმეცადინებ და მაინც აქ დავრჩები..."

ვინ მოთვლის რამდენს გაჰყვა ცხოვრების დიდ გზაზე თამარ ყიფშიძის მადლი. მან შეაყვარა ქარ-

**ვ. ი. ლენინი:** სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოება

**არჩილ მეფე:** მსწავლელი მოსწავლეებსა
სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედი სწავლებით
ძნელს საცოდნს გაუადვილებს...

**ი. გრიშაშვილი:** ძველად ქართლის ტკბილ
მიწაზე
ჩვენს ნათესებს მტერი
მკიდა.
დღეს შენს ნასროლ
ცოდნის მარცვალს
რა თავთუხი დაეკიდა!
...და მე მინდა, რაც
კარგია,
სუყველაფერს შენა
მფლობდე,
ჩვენ საყვარელ
სამშობლოში
შეგირდებით ამაყობდე!



**ფრ. ენგელსი:** მასწავლებელი ისევე ითვლება საზოგადო მოღვაწედ, როგორც მწერალი...

**მ. კალინინი:** მასწავლებელი მუშაობს ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანაზე — ის ადამიანს აყალიბებს.

**ა. ლუნაჩარსკი:** პედაგოგი ის ადამიანია, რომელმაც ახალ თაობას უნდა გადასცეს საუკუნეთა ყველა ძვირფასი დანაგროვი და არ გადასცეს ცრურწმენები, ბიწიერებანი და ავადმყოფობანი.

**ლ. ტოლსტოი:** მასწავლებლის მოწოდება დიდი და კეთილშობილური მოწოდებაა.

**ქ. ცახარიე:** (XVIII საუკუნის გერმანელი პოეტი): ყოველგვარი სწავლების წარმატება მასწავლებლის პირად ღირსებაზეა დამოკიდებული.

**ი. ჭავჭავაძე:** ერთი... ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშვის გაადამიანებაზე, ვიდრე სამი და ოთხი წლის ზეპირება გრამატიკისა თუ სხვა რისამე ამისთანისა.

...მზრდელი—ყრმის მეორე შემოქმედია.

თული სიტყვა პოეტებს — ნია აბესაძესა და ლიანა სტურუას, ახლა ცნობილ პროფესორს, ფილოლოგს ივანე ქავთარაძეს, პედაგოგის საპატიო საქმისადმი სიყვარული ჩაუნერგა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსიტუტის დირექტორს გრიგოლ ფოფხაძეს, უნივერსიტეტის ლექტორს მზია ძაძამიას. თავისი ერთი შვილი, ლამზირა ყიფშიძეც ხომ დედის კვალს გაჰყვა...

თვრამეტი წლის იყო თამარი, როცა მშობლიურ დაბა ზესტაფონში დაიწყო მასწავლებლობა და აგერ ორმოც წელზე მეტია უმწიკვლოდ ემსახურება ამ საქმეს. 1943 წლიდან იგი იან ამოს კომენსკის სახელობის თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში ასწავლის მშობლიურ ენასა და ლიტერატურას.

ჯერ არ ყოფილა ადამიანი, რომელსაც მასწავლებელი არ ჰყოლოდეს. თამარიც იყო ერთ დროს მოსწავლე. მას ღვაწლმოსილმა პედაგოგმა გიორგი აბაშიძემ შეაყვარა მშობლიური ენა და ლიტერატურა. სიამოვნებით იგონებს თამარი საშუალო ტანის, სანდომიანი სახის ადამიანს. ჯერაც მხნედ არის 90 წლის მოხუცი.

ხშირად ნახავთ თამარ ყიფშიძეს მშობლიურ ზესტაფონში. გიორგი მასწავლებელს აუცილებლად მოინახულებს ხოლმე. გვიანობამდე საუბრობენ მოსწავლე და მასწავლებელი. სათქმელს კი რა გამოლევს...

ხშირად უთქვამს თამარს მეგობრებთან: ჩემი შრომის ჯილდო—ჩემი აღზრდილებიაო, სხვა ჯილდო არც მინდაო. მართლაც რომ ასეა... მაგრამ ამ ჯილდოს შარშან კიდევ ერთი სხივი შეემატა — თამარ ყიფშიძეს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭეს.

თამარ ყიფშიძის სამოცი წელი ის სიმაღლეა, საიდანაც ხელისგულივით ჩანს ამაგდარი აღმზრდელის ნამოღვაწარი. მან ხომ ამ საქმეს თავისი სიცოცხლის ძვირფასი წლები შეალია. და ამ გზაზე, ოქროსფერ ზარის წკრიალში, გაჭაღარავდა!..

ფოტო
ანზორ ჩიგოგიძისა.



გიორგი კაჭახიძე



## ობელისკი

მათ ნაკვალევს გამოვყევით,
გზა კი გვიდევს ახალი,
რაც გვეძახდა, აგერ იგიც—
ობელისკი მაღალი.

ალბათ ახსოვთ ამ გორაკებს
ძველი ქვეყნის ბარბაცი...
აქ დაეცნენ სიმართლისთვის
ვაჟკაცები მამაცი.

მათმა ძმებმა მუსრეს მტერი,
ჩეხეს ჯაგი, მაყვალი,—
მობრუნდნენ და მათ აუგეს
ობელისკი მაღალი.

რა ცოტა ხანს ენთნენ ქვეყნად,
რა ბევრი თქვეს სათქმელი!
მათ გმირობას მოგვაგონებს
მათი ბრძოლის ნათელი;

მოგვაგონებს ეს ბერმუხა,
ამ ყვავილთა ღაღანი,
ცისკენ თეთრად ავარდნილი
ობელისკი მაღალი.

ფრთხილად!
კენჭიც არ შევაკრთოთ,
წუთით თავი დავხაროთ,
გზა ნაკადულს აქეთ მივცეთ,
ხე ცხოვრების ვახაროთ.

გმირთა გულის წვა ვადიდოთ,
ხმა საბრძოლო ნაღარის
და ალმებით გავანათოთ
ობელისკი მაღალი.

## დედის წყარო

ხალხის ქება, სიყვარული
ამ წყაროსაც დაჰყვა ბედად.
აქ ჯდებოდა, ამ გრილოში,
დედა სახლის,— ყველას დედა.

აქ უგრძვნია ყველა ჩვენი
გაზაფხულის გულის ფეთქვა,
რაც ხიბლავდა, რაც სტკიოდა,
არ შეეძლო, აქ არ ეთქვა.

გვიამბობდა: კაცს ზრდილობა
ყველგან როგორ ალამაზებს,
სიკეთე და სიყვარული
რა ძალაა ქვეყანაზე.

უთქვამს:—სუსხი მეც მიგრძვნია,
თუ ძმის თავზე თოვდა, წვიმდა...
კაცთმოყვარე გული ჰქონდა,
წყაროსავით სუფთა, წმინდა.

ამ სახლიდან, იმ სახლიდან
შეჰხაროდა დიდ-პატარა,
წყაროს დღეთა სხივად თვლიდნენ
დედის ღიმილს და ჭაღარას.

ალბათ იცის ეს წყარომაც,
რა გვაღონებს ან რით ვხარობთ,
და არ უკვირს, რად უწოდეს
მას კეთილი დედის წყარო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯ ა გ უ  მ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი

# ბავშვები სწუხან



შეჭმუხნა წარბი,
შეჭმუხნა წარბი
თეთრმა ზამთარმა,
გაქრა ალმური...
და ტყეებიდან სიყვითლე გარბის
ქარში გაფანტულ ფოთლის ხმაურით.
დაფრთხნენ,
წავიდნენ,
აღარ ესევა
მაღალ სათიბებს ცხენების რემა,
მიწაში შეწყდა ხეთა ფესვების
ფუსფუსი,
ფესვებს ერევათ თვლემა.
ფასი დაედო ბუნაგს,
ფუღუროს,
ფასი დაედო გიზგიზა ბუხარს...
— რა ეშველებათ შაშვებს,
ბეღურებს
ამ ცივ ზამთარში?—
ბავშვები სწუხან.



# თვითმფრინავიდან

მზემ ამოყვინთა აღმოსავლეთით
და ცხელი თმები სხივებად სწყდება.
და ჰგავს ძალიან ღამის ნაფლეთებს
თვითმფრინავიდან დანახული
ტყეების წყება.
ლოდინით სავსე ირწევა პორტი,
ვერცხლისფრად გააქვთ ლაპლაპი ავზებს...
შორით აგდია მტკვრის ლურჯი შოლტი
და ქართვლის დე და
თეთრ ფიალას
თეთრი მზით ავსებს.

# ეს ალავერდი...

ცხენების რემად ალაზნის ახლოს
ვინ ჩამორეკა მთები უბელო,
ვინ ჩააფესვა კახეთის დაბლობს
ეს ალავერდი —
თეთრი ღრუბელი.
ვინ აზანზარა მაღალი სივრცე
ხმალთა ჯახუნით,
ფართა გრუხუნით...
ან სახელები,
ლოდივით მტკიცე,
ვინ მოიგონა
ზეზვა,
ლუხუმი;
ან ბახტრიონის ჩრდილის შეხება
ცხრაკარას რატომ ესათუთება;
ანდა პანკისის კლდის ნატეხები
ვინ დააყოლა ბიჭებს კუნთებად.

ცხენების რემად ალაზნის ახლოს
ვინ ჩამორეკა მთები უბელო,
ვინ ჩააფესვა კახეთის დაბლობს
ეს ალავერდი—
თეთრი ღრუბელი.



მხატვარი გაიოზ ფოცხიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯიმარაის ტუსაღები

რევაზ ჯაფარიძე

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ჯავრით გულშემოყრილ მერაბს, ალბათ, დედა უდგა თვალწინ, გაცრეცილი, ოდნავ მობერებული, მგლოვიარე. ძმის დაღუპვის შემდეგ დეიდა მაკოს ძაძები აღარ გაუხდია და ოდესღაც სიცოცხლით სავსე ამ ტანკენარ ქალს ადამიანი ბევრად უფრო ხნიერად მიიჩნევდა, ვიდრე მართლა იყო.

ხუთ წელიწადზე მეტმა დრომ გაიარა, რაც დეიდა მაკო მთასვლელობას მოეშვა. არავინ იცოდა, ხანშიშესულობამ აალებინა ხელი საყვარელ გატაცებაზე, თუ იმ გამოუსწორებელმა შეცდომამ, შხელდის შვეულ კედელზე ჩამომავალ მთასვლელებს რომ მოუვიდათ...

დეიდა მაკოს მაინცდამაინც მოყოლაც არ უყვარდა, თუ ამა და ამ წვერვალზე ვისთან ერთად და როდის ავიდა. ძველი ამბების გახსენებაა პირშეკრულ ჭრილობებს უხსნიდა და ისიც ყოველთვის დუმილს არჩევდა. დღეს, ალბათ, უკვე იცის, რომ ბედმა ის ერთი სიმწარე არ აკმარა და ახლა პირქუში ჯიმარაის დასაპყრობად წასული ქმარ-შვილი გაუხდა კლდე-ღრეში საძებნი...

— მერაბ! — კარავში დასადგურებული სიჩუმე მტანჯველი ფიქრების გასაფანტავად დავარღვიე, — როგორ ფიქრობ, უკვე გვეძებენ?

მერაბმა უსიტყვოდ შემომხედა. მიხვდა, ეს რისთვისაც ვთქვი და ყინულივით ცივი ხელი მაჯაში ჩამჭიდა. მეც მივხვდი, რასაც ნიშნავდა მეგობრის ჟესტი და უფრო წავთამამდი — ახლა თენგიზს ვკითხე:

— ჰა? გვეძებენ უკვე?

თენგიზმა მხრები აიჩეჩა და თავი იჭვნეულად ჳადააქნია:

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ზემოთ როგორი ამინდია.

— ჩემი ფიქრით, მზიანი დარი უნდა იყოს.

— რაზე ატყობ?

— ზვავი რომ მოწყდა.

—რა შუაშია ზვავის მოწყვეტა!

— მზიან დარში თოვლი დნობას იწყებს, მძიმდება და, რადგანაც ქვეშიდან სისველე აქვს შეყენებული, ადგილზე ვეღარ მაგრდება და ერთხელვე-დაძრული თავპირისმტვრევით ეშვება კალთაზე.

— ყოჩაღ, ეგ მართალია! — მომიწონა თენგიზმა, — მერე, მერე?

— რა მერე! დავამთავრე.

— მაშ, შენ ფიქრობ, მზიანი დარი იყო და ზვავი [illegible]ატომ მოწყდა?

— სხვა რა უნდა ვიფიქრო!

— თუ ღამით მოწყდა და არა დღისით?

— თოვლი შეიძლება ღამითაც დნებოდეს. ახლა ზაფხულია, აგვისტო. დაგავიწყდა, თბილისში რა პაპანაქება იყო?

— ზვავმა ჩამოწოლა მაშინაც იცის, როცა ნამეტნავად დიდს მოთოვს, — მოულოდნელად ჩაერია საუბარში მერაბი და ამოწითლებული თვალები მოგვაპყრო, — თოვლზე დადებული თოვლის ფენა ინგრევა, აგორდება და ზვავს მეტიც აღარაფერი უნდა. ეს დღე-ღამის ყოველ დროს შეიძლება მოხდეს.

— სწორედ მაგის თქმა მინდოდა! — წამოიძახა იმით გახარებულმა თენგიზმა, რომ მერაბი, ბოლოსდაბოლოს, თავისთავს მოერია და ნებისყოფა კვლავ მოიკრიბა, — ისე, რომ, ჩემო გიგი, რადგანაც ზვავი მოწყდა, მაგით ვერ დაადგენ დღეა თუ ღამე.

— თქვენ ხომ კაცი ვერაფერს დაგაჯერებთ, ფილოსოფოსები ხართ! — იხტიბარი აღარ გავიტეხე და, თუმცა კარგად ვგრძნობდი, ორივე მართალს ამბობდა, ჩემსაზე დავდექი, — იყოს, როგორც გეპრიანებათ!

სიტყვა დამთავრებული არც კი მქონდა, რომ სინათლემ ერთბაშად მოიკლო და სამივემ კარვის უკანა კალთისაკენ გავიხედეთ, სადაც თხილამურის წვერზე დამაგრებული სანთლის ნამწვი სულს ძლივს ღაფავდა და ამ ნესტიან და ცივ ჯურღმულში უკანასკნელ სხივებს აბნევდა.

— მორჩა! — თქვა თენგიზმა, — სინათლეს უკვე ვეთხოვებით.

სანთელმა ერთ ხანს იპარპალა, მერე იმგვარი შიშინი გაისმა, თითქოს გავარვარებული რკინის ნაჭერი წყლით სავსე ვარცლში ჩაუშვესო, და კარავი უკუნმა მოიცვა.

რამდენიმე წუთს ხმაგაკმედილი ვიწექით ჩვენ-ჩვენს ტომრებში და სიბნელეს თვალს ვაჩვევდით. შემდეგ ისევ თენგიზმა დაილაპარაკა:

— სიბნელე უკეთესი ყოფილა. ვერაფერს ვხედავ და ამიტომ ჩვენი კარავი ძალიან დიდი მგონია.

პასუხი არავის გაუცია. მე ვგრძნობდი, თენგიზი თავს იკატუნებდა და ნახევრად სახუმარო სიტყვებს განზრახ ამბობდა. განზრახვა ძალზე კეთილშობილური იყო და თენგიზს მადლობის გარდა არა ეთქმოდა რა, მაგრამ ამ გაბედულ ბიჭს, რომლის მოხერხებამ და შეუპოვრობამ ჯერ მწვერვალზე ასვლის დროს და შემდეგ კარვის გაშლისას აღტაცება მომგვარა, უჭირდა ამხანაგებისათვის თავი გულგრილ კაცად მოეჩვენებინა.

— ხომ არ დავიძინოთ? — უფრო ომახიანად გვკითხა თენგიზმა.

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 7, 8, 9, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენს ადგილას რომ ვიწვე, იმ უკანასკნელ სანთელს ავანთებდი, — მივუგე მე, რათა რაიმე მეთქვა და დანესტიანებულ ტომრის ყელი ნიკაპქვეშ ჩავიკეცე, — სულ ერთია, ოხრად დაგვრჩება!

— საიქიოს გამოვიყენებთ, — ისევ ხუმრობა სცადა თენგიზმა, — ამბობენ, იქაურ ჰესებს წყალი დაჰკლებიაო.

—აბა, მატარებელიც გაჩერდებოდა. რით გინდა იქამდე მიხვიდე!

— მატარებელს თბომავალი უბია.

— ახლა ჩვენ პლაცკარტში ვსხედვართ, არა? ოთხადგილიანი კუპეა! —

— ამიტომ დაძინება ჯობს. გამოვიღვიძებთ და ვნახავთ, რომელი სადგური იქნება. ხომ, მერაბ?

— მე უკვე მძინავს.

არა, მერაბს არ ეძინა. არც დაეძინებოდა. ის უთუოდ გულაღმა იწვა, კარვის უხილავ წიწიბოს თუ სიბნელის უსასრულობას თვალმოუშორებლივ მიშტერებოდა და ფიქრობდა.

თენგიზი ჩაჩუმდა, თავზე რაღაც წაიფარა და საძილედ მოემზადა. ცოტა ხნის შემდეგ მეც თვლემა მომერია, სიცივე ძილშიაც ჩამყვა და კანკალმა მალე ისევ გამომაღვიძა. ფეხე—



ბი, როგორც აქ მოსვლის პირველ წუთებში, თითქოს ჩემი აღარ იყო. ლოყები და უფრო კი ყურები საშინლად მეწვოდა. მეტი რა ღონე მქონდა, ტომრიდან ამოვიწიე, წინდები სასწრაფოდ გავიძვრე და კალთის ძირში თოვლს მივწვდი...

ბიჭებს მკვდრებივით ეძინათ. ერთი წამით წარმოვიდგინე, რომ აქ მარტო ვიყავი და ძრწოლვის ჟრუანტელმა ელვასავით დამიარა. თუ ტყვეობა ორ-სამ დღეს კიდევ გაგრძელდა... ადამიანი შიმშილს ორმოცი დღე-ღამის განმავლობაში უძლებს. ყველა ადამიანის გამძლეობა ხომ ერთნაირი არაა. ზოგმა შეიძლება თხუთმეტი დღეც ვერ გაძლოს, სიკვდილის წინ ჭკუაზე შეცდეს და ან სხვა რამ უბედურება დაემართოს...

ამაზე საზარელი წარმოსადგენი არაფერია: აგერ, სულ ახლოს, თბილი კერა გელოდება, ათობით ახლობელი ადამიანი მყინვარის ტყვეობიდან შენს გამოხსნას ლამობს, შენ კი, ყინვით გათანგულსა და ხელ-ფეხშეკრულს, იმდენი ღონეც აღარ შეგრჩენია, დაიყვირო და ვისმე ხმა მიაწვდინო.

— გიგი! — მოგუდული ხმით წაიბუტბუტა რომელიღაცამ სიბნელეში.

ვიდრე პასუხს გავცემდი, ნახევრად გამდნარი თოვლის გუნდა კარვის კუთხეში მივაგდე და იქით მივიხედე, საიდანაც ნაცნობი ხმა მომესმა. ეს ხომ კოტე ვეშაპელი იყო!

— შენა ხარ, კოტე?

— რატომ ბნელა კარავში?

— არ გაგიგია?

— რა?

— ჩაგვიქრა სანთელი.

— ბიჭები სად წავიდნენ?

—წვანან აგერ. ძინავთ. შენ როგორა ხარ, ბიჭო?

— ცუდად.

— ტანზე და ფეხზე რატომ არ იხდი?

— ახლა გინდა გაიხადე და გინდა... — კოტე ვეშაპელმა ღრმად ამოიოხრა, — ამათ მართლა სძინავთ? — მცირე ყოყმანის შემდეგ მკითხა მან.

— გავაღვიძო? — კისერთან ჩაკუჭული ტომრის ყელი გავიხსენი და მაშინვე წამოვიწყე.

— მე მარტო შენთან მინდა ლაპარაკი.

— თქვი... ოღონდ... ხომ იცი..

რატომღაც მომეჩვენა, რომ კოტე ციცოს სახელის ხსენებას აპირებდა. ეს საშინელება იქნებოდა. მერაბი, ციცოს ღვიძლი ძმა, აქ იყო და გულში ღრმად ჩამარხული გრძნობის სააშკაროზე გამოტანას, ვინ იცის, როგორ შეხვდებოდა. ჭაბუკი ძმები გადამეტებულ ეჭვიანობას იჩენენ თავიანთი დების მიმართ და ყოველ ვაჟს, ვინც კი დისადმი ჩვეულებრივი ამხანაგობისაგან განსხვავებულ გრძნობას გამოამჟღავნებს, შეურაცხმყოფელ ვერაგ მტრებად თვლიან.

კოტე მგონი მიმიხვდა და, ვიდრე სათქმელს უფრო ნათლად გამოვხატავდი, თავადვე მომაშველა:

— ვიცი. ისე, ახლა ჩემთვის სულ ერთია ყველაფერი. ამ დაწყევლილი სოროდან ცოცხალი მაინც ვერ გავატან. ამის წერა ვყოფილვარ.

— თუ შენ ვერ გაატან, ვერც სხვები გავატანთ, — ვითომ გავამხნევე, — გაგონილა მაგისთანა ლაპარაკი?

— ლოზუნგები შენთვის შეინახე და ყური მიგდე! — შემაწყვეტინა მან და უადგილო ადგილას ისე მოწყვეტილად ამოისუნთქა, როგორც დიდი სიცხით გათარანებული ავადმყოფები სუნთქავენ ხოლმე, — მისმენ?

— თქვი, ჰო.

— სულ ერთია, აქედან კიდეც რომ გავიდე, ადამიანად მაინც აღარ ვივარგებ. მარტო მე არა ვარ დამნაშავე. მიმტრეს...

— ვინ, კაცო? — ამდენს კი აღარ მოველოდი და ეს ორი სიტყვა ჩემდა უნებლიედ ხმამაღლა წამოვიძახე.

— ამხანაგებმა... ყველამ... შენც...

— რას ამბობ, ბიჭო, სრულ ჭკუაზე ხარ?

— ჯერჯერობით კი...

— რაში გიმტრეთ, რაში გამოიხატება ჩვენი მტრობა?!

— ნუღარ მეკითხები. ყველაფერი ისე მოაწყეთ, რომ ჩემი უძლურობა დაგემტკიცებინათ. მოიცა, მოიცა! — კიდევ უფრო გაფიცხდა კოტე, როცა შედავება დავუპირე, — სულ ბოლო წუთებში, მწვერვალზე ასვლის წინ, იმ კაცმა ისევ თავისიანები აარჩია: თავისი ვაჟიშვილი, რასაკვირველია, ეს ვაჟბატონი სტუდენტი და შენ.

— უნდა გრცხვენოდეს, კოტე, ძია შიოზე მაგას იტყვის ადამიანი? ფუ! წამოსვლა გინდოდა და ვინმემ დაგიშალა?

— იცი, არ მინდოდა?

— რატომ არ თქვი? ჩვენ ვთქვით, ხომ გაიგონე...

— ვიცი... თქვით.. მოლაპარაკებულიც იყავით წინასწარ. მე შეიძლება... — კოტე უფრო ზუსტ გამოთქმას ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვნა, ამოიხვნეშა და ძლივს გასაგონად ამომარცვლა: — ახლა ყველაფერი გათავებულია.

— დაუჟინია მაინც... თუ მაგისთანა მტკნარი სისულელე კიდევ მოგსვლია თავში, იცოდე, მეორედ აღარ დამელაპარაკო!

— აფსუს, კოტე ვეშაპელო, რა დღეში ხარ!

— უკან რატომ ჩამოგვრჩით შენ და გერა?!

— როდის?

— მწვერვალიდან როცა ვბრუნდებოდით.

— გინდა, მაინცდამაინც გაიგო?

— რატომაც არ მინდა!

— მე მარტო ვაპირებდი ასვლას.

— სად?

— მწვერვალზე.

— გაგიჟდი? იქ ოთხმა კაცმა ძლივს ავიყვანეთ ერთმანეთი და შენ მარტო აპირებდი ასვლას?

— გერა დამეწია, არ გამიშვა. მერე მამამისიც ამოვიდა, — კოტემ ალბათ იმ მხარეს გაიხედა, სადაც მერაბი იწვა, — სათვალავით ყავთ ხალხი მიღებული, ერთიც რომ დააკლდეთ...

— შენ რას იზამდი ძია შიოსა და გერას ადგილზე, ყველას თავის ჭკუაზე გაუშვებდი?

— ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთია.

— გაუშვებდი ყველას თავის ჭკუაზე, შენ რომ ყოფილიყავი ხელმძღვანელი? მითხარი!

— რა სალაპარაკოა, მე რას ვიზამდი. ხალხს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ კოტე ვეშაპელი ჩვარია. დაამტკიცეს! მოვრჩით?

— აი, კოტე, გავალთ აქედან, სულ აქ ხომ არ ვიქნებით, ერთმანეთს დავინახავთ და,. იცოდე, შეგრცხვება შენი სიტყვების.

— არსადაც არ გავალთ. მორჩა! არც მინდა...

11.

პირველმა თენგიზმა გამოიღვიძა და მაშინვე წამოჯდა. თავი მე და მერაბმაც გამოვყავით. თენგიზი ჩამოზნექილ კალთას სინჯავდა და თოვლის თუ ნამქერის სიმაგრეს ამოწმებდა. თუ ზემოდან აგვისტოს პაპანაქება სიცხე დააჭერდა, თოვლი თანდათან უნდა დარბილებულიყო და კალთის ხელმონაკიდებ ადგილებში წყალს უნდა გამოეჟონა. ამჯერად ცვლილება არაფერს ემჩნეოდა. მაშ ჯერ კიდევ დიდხანს მოგვინდება ლოდინი...

ძილით სულ ცოტა სამი-ოთხი საათი მაინც გვეძინა, შესაძლოა მეტი ან ნაკლები. საათმა თავისი დანიშნულება უკვე დაკარგა და აღარც არაფრით იმედოვნებდა, რომ მისი საშუალებით დროს გავიგებდით. თვის რიცხვიც კი დაიკარგა. მასთან ერთად გაჰქრა დღისა და ღამის გამოცნობის შეგრძნება...

— მშია, ბიჭებო! — კალთების სინჯვას თავი დაანება და თქვა თენგიზმა, — თქვენ არ მოგშივდათ?

შიმშილით როგორ არ მოგვშივდა! თითქმის დღენახევარი, შესაძლოა ცოტა მეტიც იქნებოდა გასული, რაც პირში ხემსი არ ჩაგვეკარებინა. ხალთებში ოთხივეს გვქონდა ხუთ-ხუთი ნაჭერი ორცხობილა, ძეხვი და ცოტაოდენი შაქარი. ჩემს ხალთაში ხორცის ნაჭერიც ვიპოვნე და სიბნელეში ძლივს მოვძებნე თენგიზისა და მერაბის ხელები, რათა შემწვარი ხორცის პაწია ულუფა, რომელიც ბესასა და ვანიკას გამოტანებულ ვახშმიდან შემომრჩა, მათთვისაც გამეზიარებინა.

— დაგვაჯულს არ უნდა? — ჩურჩულით მოისაკლისა თენგიზმა კოტე ვეშაპელი, — ჭამა რამე?

— რას ჭამდა! — ვუპასუხე და ტომარაზე გულაღმა გაშხ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლართულ ვეშაპელს მივუბრუნდი, — კოტე, გესმის? ეი, კოტე!

ვეშაპელმა პასუხი არ გამცა. სახე ახლოს მივუტანე და სული გავნაბე. კოტე საკმაოდ ხმამაღლა და მოხშირებულად სუნთქავდა.

— კოტე! — ახლა უფრო მორიდებულად ჩავძახე, — გძინავს, ბიჭო?

— რა გინდა? — ძლივს ამოიღო ჩან ხმა.

— არა გშია? აჰა, დაიჭი, ხორცის ნაჭერია. მწყემსებმა რომ მოგვცეს. მარილსაც მოგაწოდებ. ცოტა ყველიც გვაქვს. გამომართვი, არ გესმის?

კოტემ არც ლუკმა გამომართვა, არც არა მითხრა რა.

— მოეშვი. მოშივდება და თვითონ მოითხოვს, — ვეშაპელის გასაგონად მირჩია თენგიზმა, — წუნიების წამალი შიმშილია.

ღარიბულ ვახშამს თუ საუზმეს ხარბად შევექეცით. ქვასავით მაგარი ორცხობილა სინესტეს ისე დაერბილებინა, ქაღალდის პარკში ფაფასავით ჩამდნარიყო. თითები გაგვეწება. ტუჩები და ნიკაპი ალბათ, სულ მოვისვარეთ.

— ნამეტანს არ ვშვრებით, ბიჭებო? — ნაგვიანევად მოეგო გონს თენგიზი, — სახვალიოდ ღარაფერი მოვიტოვოთ?

—წარმოვიდგინოთ, რომ მუხლზე ყრია პურმარილი: — შევნიშნე მე, — მხოლოდ მოვერიოთ!

— წარმოდგენა დიდი ნუგეშია! მომეცით რამე, არაფერი გაქვთ ხელის შესაწმენდი? დაჯექი ახლა ამისთანა პლებეებში პურის საჭმელად!

—პარდონ, მუსიე! არ შეგიძლიათ თქვენი სვიტრის კალთაზე შეიწმინდოთ?

— როგორ მიბედავ, უზრდელო! თქვენ ხომ აქ ყველაზე უმცროსი ბრძანდებით?

— რა გსურთ მაგით თქვათ, მუსიე?

— კეთილი ინებეთ და სუფრა აალაგეთ! რა გვსურს ვთქვათ!.. მოგეხმაროთ?

— მერსი, მუსიე! მე თავად გავწვდები საქმეს...

სუფრის ალაგება ზვიადად და გაფუყულად ჟღერს, აბა რა გვქონდა ასალაგებელი. ხალთიდან ამოლაგებულმა სანოვაგემ უკვე ჭირი მოგვჭამა. ხელუხლებელი მხოლოდ მერაბისა და კოტეს ხალთები იყო. ხვალ იმათაც წირვას გამოვუყვანდით და მერე ერთმანეთისათვის უნდა გვეცქირნა, სხვა საქმე აღარ გვექნებოდა.

კოტეს ულუფა ორცხობილას პარკში შევახვიე და კარვის კალთის ძირას თხილამურზე დავდე, სადაც რამდენიმე საათის წინ ფერდებჩამოღვენთილი ობოლი სანთელი ბჟუტავდა, სველი ქაღალდის ნაფლეთები გადავბერტყ-გადმოვბერტყე და სასწრაფოდ ტომარაში ჩავძვერი.

— ახლა რა ვქნათ, ბიჭებო, ისევ დავიძინოთ? — ყველას გასაგონად იკითხა მერაბმა.

— ვიმღეროთ! — წამოვიძახე მე.

— არ მოიგონა ამანაც გასართობი? რა ვიმღეროთ მაინც?

— ,,მინდორში, ბალახ-ბულახში"...

— სიტყვები არ მახსოვს.

— სიმღერაში მთავარი მელოდიაა და არა სიტყვები. აგვყევი. მორჩა და გათავდა!

— სხვა რამე გვემღერა, რაღა მაინცდამაინც ეგ!

— მაგალითად?

— ,,ჭრელო პეპელა"...

— გაიხსენა სიმღერა!

— არ ვარგა თუ? თქვენი მოსაწონი მე ვერაფერი ვნახე.

— მიდი, მიდი დაიწყე, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

ჩავახველე, ხმა ჩავიწმინდე, ბიჭებისაკენ გადავიზნიქე, რათა ხმა უფრო ადვილად შეგვეწყო, და სიმღერის პირველი მუხლი მიმქრალი კრინით გამოვიყვანე.

— არ ვარგა! — წამოიძახა თენგიზმა, — ძალიან მაღლა იწყებ. მახდ ვინ გამოგყვება!

— შენ თვითონ დაიწყე, თუ არ მოგწონს, მე მეორეს გეტყვი, გინდა ბანს, სულ ერთია...

სიმღერამ არც მეორე ცდისას გაგვიმართლა. ხელის მოცარვის უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ სამივე გაცივებული ვიყავით და სურდო ცხვირში გვიჭერდა. გარდა ამისა, როგორც კი პირს გავაღებდით, ნესტიანი ცივი ჰაერი შიგ იჭრებოდა და გაუთავებელი ხველება სულს გვიხუთავდა.

— კონცერტი ჩაიშალა უამინდობის გამო! — თითქოსდა ხალხმრავალ მაყურებელთა დარბაზს გამოუცხადა თენგიზმა და სამწუხარო განცხადება ფეხბურთის მარშით დააგვირგვინა. — მართლა! — ,,დაკვრა" უცებ შეწყვიტა და დაიძახა: — ევრიკა! იცით, რა ვქნათ! ჭადრაკი ვითამაშოთ!

თენგიზი ,,ზეპირი ჭადრაკის" გიჟი იყო. კიდევაც გამიკვირდა, აქამდე როგორ გასძლო და არ მოიგონა მეთქი. როგორც კი პარტნიორს ჩაიგდებდა, უმალ ,,ერთ ხელ" ჭადრაკს შესთავაზებდა ხოლმე. მე არ მიყვარდა ზეპირი თამაში. სადღაც გავიგონე, ტვინს აშრობსო. მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ თამაში მეძნელებოდა. ფიგურების განლაგებას ვერ ვიმახსოვრებდი.

— ჰა, გიგი, გინდა? — შემომთავაზა თენგიზმა.

— მეზარება, — გამოვტყდი მე, — სხვა რამე მოვიგონოთ.

— აბა, რა მოვიგონოთ? დროს გაყვანა უნდა. თუ თამაში გეზარება, არბიტრი იყავი. მე და მერაბი ვითამაშებთ. ხომ, მერაბ?

ფლავის ჭამა არც არბიტრობა გამოდგა. ერთხანს კეთილსინდისიერად მივყევი თამაშს. მხარეებს შევეხვეწე, ფიგურები გაეცვალათ, რათა ამით საქმე გამარტივებულიყო, მაგრამ თენგიზი, რომელსაც თეთრებით თამაში ხვდა წილად, აჯანჯლებდა და გაშლილი ფრონტით უტევდა მერაბის მეფის ფრთას. მერაბი შეცდა — ცენტრში პაიკი აიყვანა და, ვიდრე თავისი დაბმული ფიგურების წინ გზებს გახსნიდა, თენგიზმა უკვე მომაკვდინებელი მუქარა შექმნა მეფის ფრთაზე. მერაბი ერთადერთ ხსნას როქის გაკეთებაში ხედავდა. თუ როგორმე მოასწრებდა და მეფეს საპირისპირო მხარეს შეაფარებდა, მერე უკვე მოსახერხებელი გახდებოდა თამაშის გათანაბრებისათვის ბრძოლა. მაგრამ თენგიზი შეუჩერებლივ მიიწევდა წინ, ბრძოლის ველზე ახალი და ახალი ძალები გამოჰყავდა და მერაბს ძალთა გადაჯგუფების ყოველგვარ საშუალებას თანდათან უსპობდა. მერე რა ცოტა რამ იყო საჭირო — სულ ერთი სვლა! მერაბს რომ წინდაუხედავი სიხარბე არ გამოეჩინა და ანკესზე წამოგებულ სატყუარასავით გადმოგდებული პაიკი არ აეღო..

— ბიჭებო, ბოდიში, შეიძლება? — ზმორებ-ზმორებით შევეხმიანე თამაშის ეშხში შესულ ძმაბიჭებს.

— რა მოგივიდა? — მკითხა თენგიზმა.

— მე დავწვები და იქიდან დაგიგდებთ ყურს!

— დაწოლილი არა ხარ?

—სულ უნდა ჩავძვრე. შეიძლება?

— როდის აქეთ გახდა ეს ამისთანა გულისხმიერი! — თენგიზმა, როგორც ნაწყენობის დროს იცოდა ხოლმე, ალბათ, ზურგი შემომაქცია, — რაც გინდა ის ჰქენი!

— არა, თუკი გეწყინებათ...

— არ გვეწყინება, არა, ოღონდ თავი დაგვანებე!

სვიტრის რბილი საყელო ყურებამდე ამოვიწიე და ტომარაში ნებივრად გავეხვიე. ტომარა უკვე ის აღარ იყო, რაც პირველი ღამისთევისას, ქვედა ბანაკში. ნესტი საგრძნობლად გასჯდომოდა. თუ სინესტე კიდევ უფრო გაჟღენთავდა, მერე და მერე მგონი ველარც კი გაგებედა შიგ ჩაწოლა.

მაგრამ მანამდე ნუთუ არაფერი მოხდებოდა? ნუთუ არ მოეღებოდა ბოლო ამ უაზრო და სულელურ ყურყუტს დათვის სოროსოდენა ჯურღმულში? ზემოთ, ალბათ, ისევ ცუდი ამინდი იყო და მაშველმა ჯგუფებმა ჯერ აქამდე ვერ ამოაღწიეს...

ფიქრი სამი თუ ოთხი დღის წინათ ამომავალ ძნელ გზას დაჰყვა. ბესა და ვანიკა გამახსენდა. ისინი ხომ მეორე დღეს მოგველოდნენ, მესამე დღეს მაინც. ძია შიომ ასე დააიმედა. ნეტა რა იფიქრეს, როცა არ გამოვჩნდით? უთუოდ ზემო მნაში ამოვიდნენ და ამბები გამოიკითხეს. ეტყოდნენ, უკან ჯერ არავის ჩამოუვლიაო, ჯოგის ძაღლები მას აქეთ დამწყვდეული გვყავსო. სტუმართმოყვარე ძმები საგონებელს მიეცემოდნენ. ჯიმარაის კალთებიდან ბარში მხოლოდ მნის ხეობით შეიძლება ჩასვლა. ზემოდან მომავალი, ძალიანაც რომ მოინდომო, მნას ვერ ასცდები...

რული მომერია. ერთხანს გაყუჩებული ვიწექი და ვცდილობდი, აღარაფერზე მეფიქრა. მერე მგონი კიდევაც ჩავთვლიმე. ჩავთვლიმე და უცნაური რამ დამესიზმრა. ვითომ გამოქვაბულიდან დაბლა ვეშვებოდით. კლდეზე ყაყაჩოს ფურცელივით წითელი და თვალისმომჭრელი კაბა ფრიალებდა. „ეს ციცოა! — ვფიქრობდი გულში და შიში მიპყრობდა, — ამ სიმაღლეზე რამ ამოიყვანა ან ახლა როგორ უნდა ჩავიდეს?“ სიმაღლეს ციცოც შეეშინებინა, ვეღარც წინ მიდიოდა, ვეღარც უკან დაბრუნება მოეხერხებინა. მინდოდა, იმავე თოკს ჩავყოლოდი და მეშველა, მაგრამ სუსტი თოკი ორივეს სიმძიმეს ვერ გაუძლებდა, სხვა თოკი კი არ იყო...

ტანჯვასა და გულის კანკალში გამომეღვიძა. კარავში გამეფებულ ღამის წყვდიადს ოდნავ ანათებდა კარში ჩამომდგარი თოვლის ოთხკუთხედი. თენგიზს და მერაბს თამაში მოეთავებინათ და უკვე ეძინათ. დაძინება ისევ ვცადე, იქნებ ძილში დრო მოვკლა მეთქი. ამაოდ ვიწვალე, ამაოდ ვიტრიალე ტომარაში. ძილი აღარ მომეკარა. კარავში კოტე ვეშაპელის ყრუ კვნესა ისმოდა. ეს იყო ერთადერთი ნიშანი იმისა, რომ ამ საშინელ ჯურღმულში მარტო არ ვიყავი.

— კოტე! — დავიძახე ჩურჩულით, რათა დანარჩენი ორი ამხანაგი არ გამეღვიძებინა, — ხომ არაფერი გიჭირს, ბიჭო?

კოტე ისევ ყრუდ კვნესოდა და ყურადღებას არ აქცევდა ჩემს ჩურჩულს. „მართლა რომ ხელით გაგვიხდეს სათრევი? — გამიელვა ერთი წამის შემდეგ, — აქედან ამის ჩაყვანა არ გინდა?“ უეცრად ისე შევშფოთდი, ისე ამიტანა ძრწოლამ და უიმედობამ, კინაღამ ბიჭები დავაღვიძე. ეს, მართალია, არ მიქნია, მაგრამ ტომრიდან კი ამოვძვერი და ხალთა გავხსენი

# ახალი წიგნები

ცნობილ საბჭოთა ავიაკონსტრუქტორს და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე იაკოვლევს მაქსიმ გორკიმ ურჩია, ისეთი წიგნი დაწერე, მოზარდებს ახალი ტექნიკის შემქმნელთა შემოქმედებითს ლაბორატორიას რომ გადაუშლისო.

ავიაკონსტრუქტორმა შეასრულა დიდი მწერლის ანდერძი. წიგნი „ცხოვრების მიზანი“ მოგითხრობთ, თუ როგორ იბრძოდა პარტია და ხალხი სამშობლოს ინდუსტრიული და სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად, როგორ გახდა ალექსანდრე იაკოვლევი ავიამოდელისტი, პლანერისტი, ავიამოტორისტი, სპორტული თვითმფრინავების კონსტრუქტორი, საავიაციო მრეწველობის სახკომის მოადგილე და გენერალური კონსტრუქტორი.

ეს წიგნი გაგაცნობთ გამოჩენილ მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, გამოცდილ ფრონტელ მფრინავებს, საბჭოთა და უცხოელ ავიაციის მოღვაწეებს; გაგრძნობინებთ, რაოდენ დიდია შემოქმედებითი ტანჯვა-წვალებით მოპოვებული და ტექნიკის ახალ-ახალი გამარჯვებებით მონიჭებული სიხარული.

დავით ბულეიშვილი ერთხანს მალის რესპუბლიკაში მოგზაურობდა.

მალის რესპუბლიკის უდიდესი ნაწილი უდაბნო საჰარაა. საჰარაში მოგზაურობა მეტისმეტად ძნელია, მაგრამ თავისებურად მომხიბვლელიც. სწორედ ამ მიმზიდველ და საოცრებებით აღსავსე საჰარაზეა საუბარი დავით ბულეიშვილის წიგნში, რომელსაც „საჰარის პირისპირ“ ჰქვია.

თუ წაიკითხავთ ამ წიგნს, თქვენც ავტორთან ერთად „იმოგზაურებთ“ საჰარაში, გაიგებთ რა სიძნელეებს წააწყდა მკვლევარი საჰარის პირისპირ, რა საოცრებები იხილა, როგორ გადაურჩა ქარიშხლებსა და დიუნებს, როგორ ესტუმრა გოლიათი ჭიანჭველების — ტერმიტების „ციხე-კოშკებს“.

გრინი — ალექსანდრე სტეფანეს ძე გრინევსკის ფსევდონიმია. იგი თავის მოთხრობებში მამაც, წრფელ, თავგანწირულ ადამიანებს გვიხატავს. დღემდე გრინის არცერთი მოთხრობა არ ყოფილა ქართულად თარგმნილი. მოთხრობები „ოქროს ჯაჭვი“ და „გზა არსაით“ მრავალ საოცარ თავგადასავალს გაგაცნობთ, ოცნებას შეგაყვარებთ, სხვადასხვა ქვეყნის ხილვის სურვილს აღგიძრავთ, დაგარწმუნებთ, რომ ქვეყნად ყოველთვის იმარჯვებს სიკეთე!

ბასკი გოგონა მარტინა მინტეგი უზრუნველად ცხოვრობდა ბილბაოში. მაგრამ აი, 1936 წელს, ესპანეთში სამოქალაქო ომი დაიწყო და მარტინას ბედნიერებაც გაქრა. ფაშისტები ებრძოდნენ რესპუბლიკელებს. უმოწყალოდ იხოცებოდნენ ადამიანები...

ერთხელ, დაბომბვის მერე, მარტინა თავშესაფრიდან ამოვიდა და თავიანთი სახლი აღარ დახვდა... არ ახსოვს გემზე ვინ აიყვანა და შორეულ გზაზე ვინ გაამგზავრა. სევდიანი სიმღერით დატოვა გოგონამ ცეცხლში გახვეული სამშობლო:

ადიოს ესპანია,  
ესპანია მია...  
ადიოს ბილბაო,  
ბილბაო მიო...

მარტინა მინტეგი საბჭოთა კავშირში აღიზარდა, ამჟამად თბილისში ცხოვრობს, ქართველების რძალია, ორი შვილის დედა. მას ბასკეთიც უყვარს და საქართველოც. ადამიანს ერთი გული აქვს, თორემ, ორი რომ მქონოდა, ერთს იქ დავტოვებდი, მშობლიურ ბასკეთში, მეორე გულით კი აქ ვიცხოვრებდიო, — ამბობს მარტინა მინტეგი. მან ეს თავისი საინტერესო თავგადასავალი წიგნში გვიამბო. წიგნს „ჩემი ბასკეთი“ ჰქვია. იგი თქვენს წიგნის თაროზე უთუოდ დაიმკვიდრებს ადგილს.

სანთლის სულ უკანასკნელი ნარჩენის მოსაძებნად.

— რას ეძებ? — დაირხა შეშფოთებული ხმა სიბნელეში. ანაზდად ვერც კი მივხვდი, თენგიზი იყო თუ მერაბი. უაზროდ ვუპასუხე:

— არაფერს... აქ რაღაც დამივარდა...

— რა დაგივარდა, ბიჭო?! — ახლა კი ვიცანი, თენგიზი იყო და რატომღაც ოფლმა დამასხა.

— სანთელს ვეძებ. მინდა მოვუკიდო.

— რა დროს სანთელია ახლა?

— ვითომ რა უდროოსია!

— მერე ასანთი?

— შენ გქონდა, მგონი, მომეცი!

— აჰა, თუ მოეკიდა. სადა ხარ, გიგი?

— აგერ, აგერ! — მე ხელი შევაშველე და ასანთი გამოვართვი.

— ვინ არის? — ლაპარაკზე მერაბმაც გამოიღვიძა და ნამძინარევი ხმით გვკითხა.

— გიგი ადგა, სანთელს უკიდებს, — მიუგო თენგიზმა.

— ნახა მაგანაც დრო! ძლივს დავიძინე... — ნახევრადგამოღვიძებულმა მერაბმა ეს ორიოდე სიტყვა თავისთვის ჩაიბუტბუტა და ისევ დასაძინებლად მოეწყო.

— რა ქენი, დამბალია? — თენგიზი ყურს უგდებდა ასანთის კოლოფზე გაკრული ღერების ჩხაკუნს და ყოველ წუთს მზად იყო, თუ მე არაფერი გამომივიდოდა, მაშინვე თვითონ ეცადა ბედი.

ამასობაში ასანთის ექვსი ღერი ზედიზედ გავკარი. ერთსაც არ მოეკიდა. თვით გაკვრის ხმაც კი რაღაც ულიმღამო და ფლაყვე იყო. განაკრავ ღერებს როდი ვყრიდი. თენგიზის დარიგებისამებრ, ხელშივე ვაგროვებდი და ახალ ღერს გულისკანკალით ვიღებდი კოლოფიდან. საქმიანობამ ისე გამიტაცა. წამით კოტე ვეშაპელიც მიმავიწყდა და მისი უმწეო კვნესაც. ნუთუ ყველა ღერი უვარგისი გამოდგებოდა ან თვით კოლოფი გვიღალატებდა და ერთადერთ სანთელს, რომელსაც ასე დაიაზებით ვინახავდით, ვერასდროს ვერ მოვუკიდებდით? ვიდრე მე ამას ვფიქრობდი, კოლოფი თითქმის დაცარიელდა.

— დარჩა კიდევ? — მოუთმენლად მკითხა თენგიზმა.

— ათი ღერი იქნება, ან თორმეტი.

— ხომ გაქვს მეორე კოლოფიც?

— ხალთაშია. ვაითუ დამბალი გამოდგეს.

— თავსავე ვერ ამოიღე?

— სად წამეღო!

— ჯიბეში ჩავიდებდი ან ტომარაში ჩავაგდებდი, ბოლოსდაბოლოს!

— ეს ჯიბეში არ გქონდა? რა უშველე!

თენგიზი ჩაჩუმდა და სიბნელეში ჯერ მხარზე მომარტყა ხელი და მერე მკლავსაც მოსწვდა ასანთის კოლოფისა და განაკრავი ღერების გამოსართმევად. რამდენიმე წუთის შემდეგ კოლოფი მთლიანად დაიცალა. დაძმარებულმა თენგიზმა უკანასკნელი ღერიც გადააგდო. ხალთა გავხსენი და ახალი კოლოფი ამოვიღე. ისევ თავად მინდოდა გამეკრა. ბრაზით კრიჭაშეკრულმა თენგიზმა არ დამანება, კოლოფი წამართვა. დიდი წვალების შემდეგ ერთ-ერთმა ღერმა სანატრელად დაიშიშინა, გაიტკაცუნა და სიბნელეში ნაპერწკალმა გაიპწკიალა.

— ე, ბიჭო! — დავიყვირე და სანთელს ვეცი.

მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. ასანთი გატკაცუნებისთანავე ჩაქრა. სამაგიეროდ, მომდევნო ღერს მოეკიდა. სულ აღარ მოველოდით. თენგიზმა აძიგძიგებული ხელით მიუახლოვა იგი სანთელს და, როგორც მაშინ, პირველი სანთლის ანთებისას, ალს განაკარავი ღეროც მიუმარჯვა. სანთლის ჩლამ ალი მოიტაცა. მე მოჯეგილ თოვლზე დაყრილი განაკრავი ღერები ავკრიფე და რამდენიმე ღერს ერთად მოვუკიდე.

— გამხიარულდი, ბუხარო, გულჩახვეული ნუ ხარო... — ჩურჩულებდა ბალღივით აფოფინებული თენგიზი. ანთებული სანთლის ცქერით ვერ გამძღარიყო და თავის გუნებაში ამ სიტყვებს, ალბათ, მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნამდვილ ცეცხლთაყვანისმცემლებად გადავაქციო. ღუთაება კარავში დავიგულეთ და აწი რაღა გვიჭირდა. ისე შევხაროდით და შევციცინებდით, როგორც გაჩირაღდნებულ ნაძვისხეს ახალწლის ღამით...

ტომარაში მოკუნტულ მერაბს მოურიდებლად გავკარი ჯლიკვი, შეხედე, ეს რა მოვიმოქმედეთ მეთქი.

— დამანებეთ თავი, თუარა არ ვიცი, რას გიზამთ! — ამომძახა მან ტომრიდან, — არა გრცხვენიათ, ბიჭო, ხალხი არა ხართ?

— გამოიხედე, გამოიხედე, ნახე, რა ვქენით! ჭაღებით გავაჩირაღდნეთ აქაურობა. ასე იტყვი, ეს რა ამბავიაო!

მერაბმა თავი წამოსწია, სანთლის შუქისაგან თვალებმოჭრილი მოიჭმუხნა და, როცა სინათლეს შეეჩვია, მზერა მაშინვე კოტეს წილ ულუფას დაადგა, რომელიც თხილამურზე იყო შემოდებული.

— არ უჭამია?

## ახალი წიგნები

საბჭოთა ჟურნალისტი ალექსანდრე კიკნაძე სპორტული მიმომხილველია. მას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში უმოგზაურია. სწორედ ამ მოგზაურობის დროს მიღებულმა შთაბეჭდილებებმა დააწერინა წიგნი „თამასიბის თილისმა“.

ალბათ გაინტერესებთ, რად დაარქვა ავტორმა წიგნს „თამასიბის თილისმა“! თამასიბს იაპონურად ცეცხლს ეძახიან და ერთ-ერთ ახალგაზრდულ კლუბს ჰქვია ტოკიოში. ამ კლუბში ალექსანდრე კიკნაძე ერთ იაპონელ მოხუც ქალს, ომში დაღუპული შვილის დედას შეხვდა. მოხუცმა ხისგან გამოთლილი პატარა თოჯინა აჩუქა — თილისმააო! აი ამ შემთხვევამ დაბადა წიგნის ეს სათაური...

ლ. გოგოხია.



საჭმელს სველი ქაღალდი გადავხადე. ერთი ლუკმა რომ ლუკმაა, ისიც კი არ იყო მოკლებული.

— შენ, ეი, კოტე! — მერაბი ახლა პირქვე დამხობილ ვეშაპელს მიუბრუნდა, — სიკვდილი გადაწყვიტე? რა თავს იგდებ, თუ იცი? შეიძლება, სამი დღე და სამი ღამე კაციშვილი მშიერ-მწყურვალი იყოს? რა მოგივიდა მაინც, რატომ არ ამბობ?

— ჯერ ერთი, მაღალი სიცხე აქვს, მეორეც... — საქმეში თენგიზი ჩაერია და მე და მერაბს ყურში სათითაოდ ჩაგვჩურჩულა, — ფეხების საქმეა, მგონი, ცუდად...

— რაზე ატყობ? — მერაბს თვალები გაუფართოვდა.

— ვატყობ. ვიცი მე... თავიდანვე ვამბობდი. ვინ დამიჯერა!

— ფეხსაცმელი უნდა გავხადოთ. ჩვენი ბრალია. აქამდე უნდა გვექნა ეგ!

— როგორ გახდი, თუ არ გაგახდევინა!

— უნდა გავხადოთ. ფეხების მოყინვას ეხუმრები შენ? მაშინვე განგრენა დაეწყება!

— კოტე, გესმის? — უკვე მბრძანებლურ კილოზე ჩასძახა ვეშაპელს მერაბმა, — აქეთ გადმობრუნდი, ფეხზე უნდა გაგხადოთ! — და თანხმობისათვის როდიღა მოუცდია, თვითონვე ჩასჭიდა ავადმყოფს მხარში ხელი და, თუმცა ის ყრუდ, ძლივს გასაგონად კვნესოდა, საკმაოდ უზრდელად გადმოატრიალა.

12

კოტე მთლიანად მოდუნებული იყო. აღარც მოხმარების თავი ჰქონდა და აღარც წინააღმდეგობისა. შესაძლოა, თენგიზის სიტყვებსაც მოჰკრა ყური და თავზარდაცემულს ღონე სულ წაერთვა. სახეზე სანთლის ფერი ედო. შეგაშინებდა მისი დანახვა! თვალები ვერა და ვერ გავახელინეთ. სიბნელეს შესჩვეოდა და ახლა ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლა უჭირდა. მე თავთან დავრჩი. თუ ვინიცობაა, კვლავ ჯორზე შეჯდომას მოინდომებდა, ხელები უნდა გამეკავებინა და მერაბისა და თენგიზისათვის ფეხსაცმელების გახდევინება მეცლია.

კოტემ გმინვას უმატა. რამდენჯერმე მთელი ტანით წამოიწია. სხვა გზა აღარ იყო: ხელები გადავუჯვარედინე და გულზე ნიდაყვით დავაწექი.

ავადმყოფის ფეხებთან დახრილმა მერაბმა და თენგიზმა რაღაც უთხრეს ერთმანეთს და მერე ჩემკენ გამოიხედეს.

— დანა შენა გაქვს, გიგი? — მკითხა თენგიზმა.

ვიდრე პასუხს გავცემდი, კოტემ საშინელი ხმით შეჰყვირა და კინაღამ ზეზე წამოგვივარდა. თვალის დახამხამებაში სამივე ზედ დავაწექით. კოტე კი არ კვნესოდა, დაჭრილი ნადირივით ღმუოდა და თავს მიწაზე ახეთქებდა.

— გამიშვით... რას მერჩით... რა დაგიშავეთ...

ძალზე დასუსტებული რომ არ ყოფილიყო და ღონე ჰყოფნოდა, ალბათ, ვერ დავაკავებდით.

— გასიებულია ორივე ფეხი. თასმა არ იხსნება. რა ვქნათ, აბა, თუ არ გავჭერით? — ამომარცვლა თენგიზმა და თვალები გადმომიბრიალა, — ჩქარა ქენი, ბიჭო, მოგვაწოდე დანა!

— ოღონდ ხორცზე არ მომაკაროთ... ხორცზე არ მომაკაროთ...

თასმა, რითაც კოტეს შავი ტყავის ყელიანი ფეხსაცმელი ჰქონდა შეკრული, თენგიზმა პატარ-პატარა ნაჭრებად ამოჰკვეთა და ფეხსაცმელმაც, როგორც იქნა, პირი დააღო. გახდა მაინც არ ხერხდებოდა. თენგიზი გაიმართა და მერაბს გასიებულ ფეხზე თაბაშირის კალაპოტივით შემოსალტული ფეხსაცმელი დაანახა.

— უნდა შემოვაჭრათ, — გადაწყვიტა მერაბმა.

— მერე? ფეხშიშველი დავტოვოთ?

— ეგ წამალი მწარეა... — დაიხავლა კოტემ ამ დროს და თვალებზე მიბჯენილი მუშტები პირზე მიიფარა, — წაიღე... არ მინდა! არ მინდა! გადააქციე! ყბას მოგინგრევ!..

— რას ამბობს? — ბიჭებმა მე შემომხედეს.

— სს! მგონი, ბოდავს...

— აბა, დავტრიალდეთ, — წამოიძახა მერაბმა და თენგიზს დანა გამოართვა, — ვიდრე ისევ გონს მოვიდოდეს!..

სანამ ორივე ფეხსაცმელს შემოვაჭრიდით, კოტე ორჯერ თუ სამჯერ მოვიდა გონს. გაიბრძოლებდა ხოლმე და წამოჯდომას დააპირებდა, მაგრამ მე ფხიზლად ვიდექი იქ, სადაც დამაყენეს და ყოველ ღონეს ვხმარობდი, განძრევის საშუალება არ მიმეცა.

ბიჭები ძალიან შეშინებულები ჩანდნენ. ნახევარი საათის წინანდელი ხალისის კვალიც კი გამქრალიყო. რაღა უნდა გვექნა, რით მოგვევლო მომაკვდავისათვის? კოტე ვეშაპელი ჯერ კარგად მყოფი რანაირი გასაძლები იყო და სასიკვდილოდ გადადებული რაღა იქნებოდა! შიში მაშინ უფრო შემოგვენთო, როდესაც კოტეს წინდებიც გავხადეთ და რუმბებივით დასიებულ ფეხებს სანთელი მივანათეთ.

სიმსივნეს ორივე ფეხი დაემახინჯებინა. აფუებული და ფერგამკრთალი ტერფის ზურგი მოხრუკულ თითებს გადასჯდომოდა. თვით ტერფი კოჭებამდე გასიებული იყო. სიმსივნეს კოჭებზე გადაევლო და თითქმის წვივებამდე მიეღწია...

მერაბმა იქვე დაგდებული წინდა აიღო. ვითომ ცალ ფეხზე ჩავაცმევ, სანამ მეორე ფეხს თოვლით დავუზილავდეთო, მაგრამ წინდა სველი იყო და ჩასაცმელად არ ვარგოდა.

— ნახე, მშრალები ექნება ხალთაში! — მერაბი მე მომიბრუნდა, — თუ არა აქვს, ჩემები ამოიღე. ჩქარა! ვერ ხედავ, რა დამართნია?

კოტეს ხალთა მალე ვიპოვნე. იგი თავქვეშ ედო ავადმყოფს. კოტე, მადლობა ღმერთს, მიყუჩდა. ახლა მხოლოდ წყნარად კვნესოდა. ფეხსაცმლის გაძრობამ და ხალვათობის გრძნობამ ტკივილი, ალბათ შეუმსუბუქა.

ხალთა სასწრაფოდ გავხსენი და სანთლის შუქზე შიგ ჩავიხედე. ხევსურული ჭრელი წინდები, რომლებიც კოტემ აქ წამოსვლის წინადღეს იყიდა, სულ ძირში აღმოჩნდა. ვიდრე იმათ მივაგნებდი და ხელებში შემოჩერებულ მერაბს გადავაწოდებდი, ხალთაში წყობისად ჩალაგებული ნივთების წაღმაუკუღმა ამოყრა მომიხდა. ნივთების უკანვე ჩალაგებისას მივაქციე მხოლოდ ყურადღება, რომ სახოვაგის ჩასაწყობი გამჭვირვალე პარკი ცარიელი იყო. კოტეს ერთი გაკვნეტა ორცხობილა, შაქარი და პაწია ნაჭერი ძეხვიც აღარ ჰქონდა. აი, თურმე რად არ ახლო ხელი ჩვენს მიწოდებულ ლუკმას! ბრაზი წამეკიდა და კიდეც შემებრალა კოტე. ზედმეტად ამაყი ბიჭი იყო. თავს ვერ მორეოდა...

— რას ჩაჩერებიხარ მანდ?! — შემომიტია მერაბმა, — მიდი, თენგოს შეენაცვლე!

მოვტრიალდი და კოტეს ფეხებთან ხელების სწრაფი მოძრაობით სუნთქვამოხშირებული თენგიზის ადგილი დავიკავე.

თოვლით დაზელას სიმსივნისაგან აფუებული ტერფის ზურგი ოდნავ გაევარდისფერებინა.

— თითებს მიეძალე! — მასწავლა მერაბმა. თავად მეორე ფეხთან ჩაიჩოქა და საკვირველი სისწრაფით დაუწყო ზელა, — ნუ მოეშვები, სანამ ფერს არ შეიცვლის!

ტერფი ყინულის ნატეხივით ცივი და უგრძნობელი იყო. კაცს მარტოდენ მიკარებაც კი შეგზარავდა.

— როგორ არის საქმე? — მერაბი მალიმალ მეკითხებოდა.

— ჯერ არაფერია. ვნახოთ...

— ხომ არ დაიღალე, თენგიზი შეგცვლის.

— არა, არა, შენ შეგცვალოს, თუ უნდა.



— აქეთა, მგონი, გაუთბა. ჰა, რას იტყვი, თენგიზ?

— თუ უკვე ეყოფა, ჩავაცვათ! — თენგიზი ჩაცუცქული იყო და იღლიის ქვეშ მშრალ წინდებს ათბობდა.

— ცოტასაც გავუსვამ, — იუარა მერაბმა და მე გადმომხედა, — იქ მეორე წყვილი არ არის?

— წინდა? არის, მაგრამ გამოცვლა რომ დასჭირდეს?

— თენგო, ჩემს ტომარაშია მშრალი წინდები. ისინიც ამოიღე, თუ ძმა ხარ.

— ორი წყვილი ჩავაცვათ?

— ასე აჯობებს. იქნებ როგორმე შევინარჩუნოთ სითბო.

— მერე შენ?

— მაქვს მესამე წყვილიც. აბა, გიგი, დამანახე. მოგვინათე, თენგიზ!

თენგიზმა სანთელი აიღო და თავს ზემოთ ასწია.

— ფერი არ მომწონს, — ნაღვლიანად თქვა მერაბმა, — შეიძლება, სანთლის ბრალია, სხვანაირად ანათებს? — და ახლა მეორე ფეხს დაჰხედა, ერთმანეთს შეადარა. — არა, ნამდვილად ცუდი ფერი ადევს. დავანებოთ თავი? — ისევ მე მკითხა.

— რატომ, თუკი ზელვით რაიმე ეშველება, აგერ ვარ და...

— მაშ, ცოტა ხანს კიდევ... — თითქოსდა ბოდიშობდა მერაბი, — თენგიზ, დადე ეგ სანთელი. ბარემ მოიტა წინდა.

— აჰა, ჯერ პირსახოცი, შეუმშრალე.

— ო, ყოჩაღ! — მერაბმა პირსახოცი გამოართვა და ისე მარჯვედ, თითქოს გუშინაც და გუშინწინაც ეს საქმე ეკეთებინოს, თოვლის ნაჟური წყლით გალუმპული ტერფის შემშრალება დაიწყო.

კოტეს ყველაფერი ზედ დავაყარეთ, რაც კი რამ გვებადა. თვითონ კი, რომ იტყვიან, შიშველ-ტიტველნი დავრჩით. ძვალრბილში გამჯდარი სიცივე კბილს კბილზე გვაცემინებდა, მაგრამ გავჯიქდით და საძილე ტომრებში მაინც არ ვძვრებოდით. ვინ იცის, რა დროს რა გახდებოდა უცებ საჭირო.

მარჯვენა ფეხს, მგონი, არაფერი უჭირდა. სულზე მივუსწარით. სამაგიეროდ, მარცხენა ფეხის საქმე ძალზე სათუო იყო. კანის მოიისფრო შეფერილობა, ამდენი ზელვის შემდეგაც რომ არ გაიარა, მოსვენებას გვიკარგავდა. ამას გარდა, სიმსივნე ტერფს ისე ძალუმად მოსდებოდა, კანი გასკდომაზე იყო. განგრენა სწორედ კანის გასკდომით და იარის გაჩენით იწყება...

თენგიზს თვალები ცრემლებით აევსო. სიცივისაგან მთლად გალურჯებული ტუჩები უკანკალებდა და ეს კანკალი ვერასგზით ვერ დაეოკებინა. ნუთუ ხელახლა ღალატობდნენ ნერვები? უკეთეს გუნებაზე არც მე და მერაბი ვიყავით. ანდა როგორ შესძლებდი სიმშვიდე შეგენარჩუნებინა, როცა კოტე მოუსვენრად ბორგავდა ტომარაში, აქეთ-იქით აწყდებოდა და წამდაუწუმ გონებას ჰკარგავდა. ამ გაჭირვებას ისიც ზედ დაერთო, რომ უკანასკნელი სანთელი ბოლოს მაინც დაილია. თხუთმეტი-ოცი წუთი კიდევ და კარავს კვლავ წყვდიადი დაეუფლებოდა.

გაგრძელება იხ. 25-ე გვ.

დოკუმენტური ნოველები



# მეხუთე კოვზი

ვ. სარბელკინი

ოთხნი ვიყავით: პირველი მაისის სახელობის დაბის მცხოვრები მტვირთავი და მეტივე, მაღალი, იმდენად მხრებში მოხრილი ივანე ალექსანდრეს ძე, მასწავლებელი და თევზაობის ტრფიალი გენადი სიტნიკოვი და ჩვენს გარდა კიდევ ერთი — ახალგაზრდა, მოიდებული კაპიტანი. კაპიტანი არმიაში მსახურობდა, სადაც ცხელ, უწყლო სამხრეთში, და, შვებულებაში ჩამოსვლის პირველ დღესვე ჩვენთან ერთად წამოვიდა მდინარეზე.

მართალია რომ ჩინებული მეთევზეა ეს ივანე ალექსანდრეს ძე! მან კარგად იცის როდის ეტანება ანკესს კაპარჭინა, ანდა სად ბუდობს ღარღა, როგორ აჭობებს სამკაპზე ხატურას წამოცმა და რომელია ის ერთადერთი მომენტი, როდესაც უნდა უმარჯვო უხაში „არომატისათვის" ნახევარი ჭიქა არაყი, ყველაფერი იცოდა! და ყველაფერ ამის მერე, აბა, რა ფასი ექნებოდა უმისოდ სათევზაოდ წასვლას. და ივანე ალექსანდრეს ძე, როგორც იქნა, დაგვიყოლია ვოიტკაზე წავსულიყავით.

სწრაფად შევაგროვეთ სათევზაო აღკაზმულობა და ივანე ალექსანდრეს ძეს გავუყარეთ. ის აუჩქარებლად, მომავალი საქმის დიდი მნიშვნელობის მთელი შეგრძნებით ემზადებოდა. დინჯად ჩაიცვა შალალყელიანი რეზინის ჩექმები, საკიდარიდან ათის ქარსა და ბარიდში გამოვლილი კურტაკი ჩამოხსნა, წინკარში თახჩიდან გამოვლილი კარდალა ჩამოიღო.

თვალები ეშმაკურად მოჭუტა და გაიღიმა:

— მოვკარი იარაღი...

შემდეგ ქოხში შებრუნდა და ჭურჭელი გამოიტანა. კარდალაში კოვზები გაელარუნდა.

— ეს კი შორომის ძირითადი იარაღია.

კაპიტანმა — სიზუსტის მოყვარულმა სამხედრო კაცმა — კოვზები რომ გადათვალა, ივანე ალექსანდრეს ძეს შეეკითხა:

— ჩვენ ოთხნი ვართ, აქ კი ხუთი კოვზია?.. ერთი ზედმეტია.

— ზედმეტი არ იქნება. ვინ იცის, შემთხვევით ვინმე გზააბნეული აღმოჩნდეს ტყეში და მშიერი და ხელი თავს წამოგვადგეს, ანდა, იქნებ კაცს კოცონთან გათბობა ესმოს? ისე გამოდის, რომ შეიძლება სტუმარი გვეწვიოს! და, აბა, სად გაგონილა სტუმარს უხათი არ გაუმასპინძლდე?

...იქნება ვინმემ იფიქროს, დიდი საქმეა თუ კაცმა კარდალაში მეხუთე კოვზი ჩააგდო, რა არის ამაში განსაკუთრებული!

მე კი ამ „წვრილმანში" ადამიანურ გულუხვობას ვხედავ. სწორედ იმ გულუხვობას, ურომლისოდაც არ არსებობს ადამიანი, ის მისთვის ჩვეულად და არსებობის აზრად იქცევა. უცნობთან, „უცხო" ადამიანებთან გულუხვობას ადამიანი გულით იჩენს და ამიტომაც ადამიანდება იგი ადამიანს.

■

ორი წლის წინათ მე და იური ჩერნოვი, — ორივენი გაზეთ „მოლოდოი ცელინნიკის" სპეციალური კორესპონდენტები, — რედაქციის მოტოციკლით ცელინოგრადში ვბრუნდებოდით. ძალიან ვჩქარობდით. სწორედ ნომერში უნდა ჩაგვებარებინა მასალა.

როდესტვენკას რომ მივაღწიეთ, დაბნელდა, და ბედი არ უნდა! — სწორედ აქ გვიღალატა განათებამ. იმ სიბნელეში თითქმის ნახევარი საათი ვუჩხიკინეთ, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ, და მაშინ (და, მოგვეტევოს მილიციის პატივცემულმა მუშაკებმა — ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო), გადავწყვიტეთ გზა უშუქოდ გაგვეგრძელებინა. 86 კილომეტრი სიბნელეში, მთავარ გზატკეცილზე.

15-20 კილომეტრის სიჩქარით მივდიოდით. თუ იმდენ მოვუმატებდით სიჩქარეს, ისეთი სიბნელე ვენიქავდა, რომ შეუძლებელი იყო რამის გარჩევა. გვერდზე კი, ნათურების მხიარულ ციმციმში, მანქანები მოსრიალებდნენ.

მაგრამ, აი, ჩვენს უკან მომავალი ერთი მანქანა რატომღაც არ ჩქარობს ჩვენს გასწრებას. ხელს ვუქნევ, ვანიშნებ „მიდი მეთქი", მძღოლი კი ვერ მარცხნივ იდებს და ფარებს ანთებს. გაზი მოვუმატე. მესამე სიჩქარე ჩავრთე, მანქანა კი კვლავ უკან მოგვდევს, იმდენ მარცხნივ. ახლა წინ, საკმაოდ შორს ვხედავ ჩემს გზას, ვრთავ მეოთხე სიჩქარეს, ვუმატებ გაზს, სპიდომეტრზე ვარჩევ: 50, 60, 70... უკვე როგორც იწყება წინ ცელინოგრადია.

იშიმთან ახლოს ვჩერდებით. ჩვენს უკან მომავალი მანქანაც ჩერდება. მოტორს ვაქრობ. მივდივარ მანქანასთან. კაბინის კარს ახალგაზრდა ბიჭი აღებს. ერთხანს უხმოდ ვაშტერდებით, ბოლოს ის დინჯად ამბობს:

— უშუქოდ ძალიან ძნელია მოძრაობა. ვხედავდი რა გაწვალებაშიც იყავით...

— შენ სადაური ხარ?

— ტაი ტიუბელი...

— კი მაგრამ, შენ ხომ მეოცე კილომეტრზე უნდა გადაგეხვია, აქეთ რაღაზე გამოუტიე?

— მე რომ აქეთ არ გამომეტია, საინტერესოა, თქვენ სით გაუტევდით? — თქვა და კაბინის კარები მოიხურა.

ათუხთუხდა მოტორი. ძარაზე ორი პატარა შუქურა ავნთო და ვიდრე ისინი ჩაქრებოდა, ჩვენ ვიდექით შთანთქმულნი სიბნელესა და სიჩუმეში.

■



ქ. კაროვში, კარლ მარქსის და ვოროვსკის ქუჩების კუთხეში, ისევე, როგორც ოცი წლის წინათ, ახლაც არის სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტალი. ჰოსპიტალში დედაჩემი მსახურობდა. ეს ამბავი მისგან მოვისმინე.

...მე-8 პალატაში იწვა ხანშიშესული მამაკაცი. მას არცერთი ფეხი არ ჰქონდა, თვალებზე თეთრად მოუჩანდა ნახვევი. წერილებს იგი არ ღებულობდა. არავის არ ელაპარაკებოდა, მხოლოდ იშვიათად მედდას თუ გასცემდა ხმას. ასე იწვა იგი მთელი დღეები და ღამეები და თეთრსახვევებიანი მისჩერებოდა თეთრ ჭერს.

ერთხელ პალატაში მოხუცი ქალი შემოვიდა. მას ხელჩაკიდებული მოჰყავდა 7-8 წლის, გამხდარი დიდრონთვალება გოგონა, მეორე ხელში კი შეკვრა ეჭირა. მედდამ იგი მძიმე ავადმყოფის საწოლთან მიიყვანა. მოხუცმა შეკვრა სასთუმალთან დადო. გაზეთის ქაღალდი გაიშალა — შიგ ჭვავის პური იყო. მოხუცმა დაჭრილს ხელზე ხელი მოჰკიდა და ჩუმად დაუძახა: — „შვილო". იგი შეკრთა და მთელი ამ ხნის განმავლობაში თავი პირველად მოაბრუნა, შემდეგ ფრთხილად, თითებით შეეხო მოხუცის ხელს, მხარს, სახეს...

გოგონა კი დაღლილი, მშიერი თვალებით შესცქეროდა პურს. პალატაში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ იცოდა — უსინათლოს არავინ ჰყავდა, არც ნათესავი, არც ნაცნობი. მოხუცი ქალი თმაზე უსვამდა ხელს. ეფერებოდა და რაღაცას დაუსრულებლად ეჩურჩულებოდა, მაგრამ დაჭრილი წინანდებურად დუმდა.

გოგონა კი იდგა და თვალებით ხვამდა პურს.

შემდეგ ისინი წავიდნენ. მოხუცი ქალი ტიროდა, გოგონა ხელ უკან იყურებოდა, პურს შესცქეროდა. და როცა უკვე კარს აღებდნენ, დაჭრილმა გაჭირვებით მოაბრუნა თავი და წამოიკვნესა: „დედა".

შემდეგ გამოირკვა, რომ ეს მოხუცი ქალი დიდხანს ეძებდა ჰოსპიტლის უფროსს, — ნება მომეცით მოვინახულო ყველაზე მძიმე ავადმყოფი გადავეცეო. მოხუცი და მისი შვილიშვილი თურმე დიდხანს იზოგავდნენ პურს და სწორედ ეს პური მოიტანა მოხუცმა ჰოსპიტალში.

■

იმ საღამოს უხა შესანიშნავი გამოვიდა. იგი თევზითა და მდინარის წყლით, კოცონის ბოლითა და ღამის ბაგრის ყვავილა სანელებლით და იმ ერთადერთი მომენტით იყო შეზავებული, როდესაც ივანე ალექსანდრეს ძემ მოასწრო უხაში ნახევარი ჭიქა „საწამლავი" ჩაესხა.

იშვიათი ახლდობა ცეცხლიდან ჩამოღებულ კარდალას. ქვემოთ, მოჩანით ჩაბერილი, მძიმედ ბორგავდა მრავალჭირნანახი მდინარე ვოიტკა. და ყვავნ, ნისლიან მიწაზე, ნაძვის წვეტიან კენწეროებზე, თეთრ ვარსკვლავებამდე ხუხვავდა სიწყნარე. ვისხედით და გემრიელად შევექცეოდით უხას.

იქვე მორზე კი კარდალის გვერდით იდო ხუთივე ალუმინის კოვზი. ივანე ალექსანდრეს ძის მეხუთე კოვზი.

მთარგმნელი [illegible].

## ვიღაც ცხოვრების ღია ფანჯარა მანქანიდან...





10370

# ძველი რომის საგანძური

**კიტი მაჩაბელი**

რომაული ხელოვნება ბერძნული ხელოვნების ბუნებრივი გაგრძელება იყო. ძნელია მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება. მაგრამ, ამასთან ერთად, რომის ხელოვნება გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანი მოვლენა იყო, ვიდრე ბერძნული. დიდი და ძნელი გზა განვლო რომმა, ვიდრე საბერძნეთის დაპყრობამდე და მის მემკვიდრედ იქცეოდა. რომაული ხელოვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი ღვაწლი ეტრუსკებს მიუძღვით. მათ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებშივე აპენინის ნახევარკუნძულზე საკუთარი კულტურა ჰქონდათ. რომაული ხელოვნების უდიდესი მონაპოვარი — სკულპტურული პორტრეტი — სწორედ ეტრუსკული ქანდაკების ძლიერი გავლენით არის წარმოშობილი. ეტრუსკების სამარხებზე აღმართული ქანდაკებები, ეტრუსკული სარკოფაგები, რომლებიც სკულპტურული რელიეფებით იყო დაფარული, განსაკუთრებულ თავისებურებებს, ბუნებაზე დაკვირვებას, ინდივიდუალური ნიშნების გადმოცემისადმი არაჩვეულებრივ მიდრეკილებას ავლენენ. თუმცა, მხატვრული თვალსაზრისით, ეტრუსკულ ქანდაკებაში ბევრი რამ იყო უხეში, პრიმიტიული.

რომმა დაიპყრო ძველი სამყარო: იტალია, კართაგენი და მისი კოლონიები, ბოლოს კი — მთელი ელინისტური სამყარო, საბერძნეთი (ძვ. წ. II ს.). მან ეს ქვეყნები თავისი კულტურის გავლენის ქვეშ მოაქცია.

ძველი სამყაროს ხალხებისათვის (მაგალითად, ეგვიპტელებისათვის) პორტრეტის ხელოვნება რომაელებამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. ბერძნებიც ქმნიდნენ ფილოსოფოსების, პოეტების სკულპტურულ პორტრეტებს, მაგრამ ამ გამოსახულებებში განზოგადება, ღვთაებრიობის ხაზგასმა სჭარბობდა. ელინიზმის ეპოქაშიც, როდესაც ბერძნები გარკვეულ ნატურალიზმამდე მივიდნენ, ყველა ქანდაკება (მოთხოვნები, ბარბაროსები, მოხუცები) ცალკე პიროვნების დახასიათება კი არ იყო, არამედ გარკვეულ ტიპს გადმოგვცემდა. ჭეშმარიტი პორტრეტის სამშობლო აპენინის ნახევარკუნძულია. ყოველი შეძლებული რომაელის სახლის ატრიუმი წინაპართა „სკულპტურული ფოტოების" ერთგვარ მუზეუმს წააგავდა, იქ საგვარეულოს ქანდაკებების მთელი კოლექცია იყო დაცული. ცვილის ნიღბებიდან ჩამოსხმული ბრინჯაოს პორტრეტებიც ნატურის იმიტაციად ჩაითვლებოდა. ამგვარად, რომაული პორტრეტის შექმნა წინაპართა კულტის მოთხოვნებთან არის დაკავშირებული

რომაულ ქანდაკებაში, მისი განვითარების მთელ მანძილზე, მთავარი ყურადღება სახეზე იყო გადატანილი. სწორედ ეს განასხვავებს მას ბერძნული ქანდაკებისაგან, სადაც სხეულის ყოველი ნაკვთი ერთნაირი მონდომებით სრულდებოდა. ამიტომ არის, რომ დამოუკიდებელი, თვითმყოფადი რომაული ქანდაკება უსიცოცხლოდ გვეჩვენება, ბერძნული ქანდაკების პატარა ნატეხებსაც კი (განსაკუთრებით ბერძნული ქანდაკების გადარჩენილ ტორსებს) აღტაცებაში მოჰყავს ადამიანი.

რესპუბლიკური ხანის პორტრეტი არ გამოირჩეოდა დიდი მხატვრული ღირსებებით. უმეტეს მათგანში კარგად არის გამოვლენილი მოცულობა, უხეშად არის გამოკვეთილი სახის ნაკვთები, ხაზგასმულია დამახასიათებელი ნიშნები — ნაოჭებით დაღარული შუბლი, ენერგიული ნიკაპი და სხვ. ეს პორტრეტები უჩვეულო შინაგანი სიძლიერით იქცევენ ყურადღებას. ამ სკულპტურულ პორტრეტებში მთავარია ნატურასთან მაქსიმალური მიახლოება, ადამიანის სახის შეულამაზებლად, სინამდვილის შესატყვისად გადმოცემა, თუნდაც ეს სინამდვილე არც ისე სასიამოვნო იყოს წმინდა ესთეტიური თვალსაზრისით. ნიღბების მიხედვით შექმნილი ეს პორტრეტები დოკუმენტურ სიზუსტეს ინარჩუნებენ.

ძვ. წ. I საუკუნის დასასრულისათვის რომი უდიდეს მონათმფლობელურ სახელმწიფოდ იქცა. აქედან იწყება რომაული ხელოვნების აყვავების ხანა. სწორედ რომის იმპერიის პირველ პერიოდში აღწევს რომაული სკულპტურული პორტრეტი განსაკუთრებულ განვითარებას. რომის იმპერიაში ხელოვნების მთავარმფარველი თვით იმპერატორი იყო. ხელოვნებას — არქიტექტურას, ქანდაკებას—ბევრი უნდა შეეწყო იმპერატორის ძალაუფლების განმტკიცებისათვის. ამიტომ, ხელისუფალთა ხელშეწყობით, ხელოვნება რომში ყოვლისმომცველი გახდა.

# რომაული ქანდაკება



ძვ. წ. I საუკუნეში იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრთა პორტრეტები ოფიციალური ხელოვნების მნიშვნელოვან დარგად გადაიქცა. გადმოცემით, მარტო რომში ავგუსტუსის 80 ვერცხლისა და რამდენიმე ოქროს ქანდაკება იდგა. გარდა ამისა, გავრცელებული იყო ქანდაკება: „იმპერატორი საბრძოლო ეტლზე". ეს ქანდაკებები რომის ყველა პროვინციაში იგზავნებოდა, მათ მოედნებზე, საზოგადოებრივ შენობებსა და ტაძრებში აღმართავდნენ, თაყვანსა სცემდნენ ღვთაებების მსგავსად. იმპერატორის პორტრეტები ელინიზმის მხატვრული ტრადიციების ძლიერი გავლენით იქმნებოდა და რომაული სახელმწიფოს სიდიადის, ძლიერების იდეებს გამოხატავდა. იმპერატორის პორტრეტების იდეალიზაცია იმპერატორის კულტის შედეგი იყო. იმპერატორის კულტი ელინისტური მონარქების მიბაძვით, ავგუსტუსის დროიდან შემოიღეს.

ავგუსტუსის დროის საუკეთესო ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს რომის ფორუმზე აღმართული „მშვიდობის საკურთხეველი". ეს ტიპობრივი რომაული ძეგლია. სწორკუთხა მაღალი გალავანი, რომელიც წინა მხრიდან ფართო პარადული კიბით იყო დამშვენებული, მკვეთრად იყო დანაწევრებული პილასტრებით. ქვედა ნაწილში იგი მთლიანად ორნამენტით იყო დაფარული, ზედა ნაწილში კი რთული რელიეფური კომპოზიციაა მოთავსებული — ხალხმრავალი პროცესია. ეს რელიეფი რომაული ქანდაკებისათვის დამახასიათებელი თვისებების განსახიერებაა: დინჯად მიაბიჯებენ დიდებული რომაელი პატრიციები. ყოველი სახე გასაოცარი სიზუსტით გადმოცემული პორტრეტული გამოსახულებაა. ამ რელიეფში ყველაფერი წინასწარ არის ჩაფიქრებული და გაზრახული. ყოველი ნაკეცი ზუსტად არის გამოძერწილი. ბერძნული ქანდაკებისაგან განსხვავებით, სადაც ყოველი, სულ უმნიშვნელო ნიუანსიც კი სხეულის მოძრაობას უსვამდა ხაზს, აქ სამოსის ნაკეცები სხეულსაც ჩქმალავს და მის მოძრაობასაც.

ამ პერიოდის რომაულ სკულპტურულ ორნამენტზე ყვავილები, ყლორტები, ფოთლები იმდენად ცოცხლად არის გამოხატული, რომ იკარგება წმინდა ორნამენტული ხასიათი, მაგრამ, სამაგიეროდ, კომპოზიციები იმდენად სიმეტრიული და უსიცოცხლოა, რომ სრულებით არ იგრძნობა მასალა.

რომაულ ხელოვნებაში დიდად იყო გავრცელებული სხვადასხვა ალეგორიული გამოსახულებები. „მშვიდობის საკურთხეველზე" რომაულ სენატორთა რეალისტური და ძლიერ მეტყველი პორტრეტების გვერდზე მოთავსებულია ქალის ფიგურა—მიწის ღვთაების ალეგორიული გამოსახულება. რომის იმპერიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქს თავისი ალეგორიული გამოსახულება ამშვენებდა. ეს, უპირატესად, ქალის იდეალიზებული გამოსახულება იყო, რომელსაც განსხვავებული ატრიბუტები ჰქონდა. ყოველ საგანს ამ ალეგორიულ ფიგურებთან თავისი ახსნა-განმარტება ახლდა: ყანწი სიუხვეს განასახიერებდა, კვერთხი — ძალას, ბურთი — სამყაროს და სხვ.

ამ პერიოდში რომში ქალის პორტრეტი ვრცელდება. თუ ბერძნულ ქანდაკებაში ქალი მხოლოდ ღვთაების სახით გამოისახებოდა, რომში ქალის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, შეიცვალა დამოკიდებულება მის მიმართ, ქალს, ოჯახის ბურჯს, ოჯახური კერის მფარველს განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. ქალების პორტრეტებში ყურადღებას იქცევს თმის ვარცხნილობა (იგი ყოველ ეპოქაში იცვლებოდა).

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ სამ საუკუნეში რომის მხატვრული ცხოვრება არაჩვეულებრივად გამოცოცხლდა. ხელოვნების ყველა დარგი, განსაკუთრებით კი არქიტექტურა და ქანდაკება, იმპერიის ძლიერების გან-



ეროვნული ბიბლიოთეკა



**მამაკაცის პორტრეტი**
**(გვიანრომაული ხანა)**

დიდებას ემსახურებოდა. ამ პერიოდშია შექმნილი რომის ყველაზე გრანდიოზული არქიტექტურული კომპლექსები და სატრიუმფო ნაგებობები. მათ შორის განსაკუთრებით სატრიუმფო თაღია აღსანიშნავი. ეს არქიტექტურის სრულიად ახალი, იმპერატორთა მთელი ცხოვრების თავისებურებებით შექმნილი ტიპი იყო. სატრიუმფო თაღი დიდ გამარჯვებათა აღსანიშნავად იგებოდა. თაღები ჭარბად იყო შემკული რელიეფებით. სწორედ სატრიუმფო თაღზე შეიქმნა რელიეფის ის ტიპი, რომელიც ცნობილია ე. წ. ისტორიული სახელწოდებით. ესეც ტიპობრივი რომაული ქმნილებაა. ამგვარი თაღების საუკეთესო ნიმუშია იმპერატორ ტიტუსის თაღი. მასზე იმპერატორის ის გამარჯვებებია გამოხატული, რომელთა აღსანიშნავადაც იყო იგი აგებული.

იმპერიას გამუდმებით ესაჭიროებოდა განდიდება. რომაული იარაღის სიძლიერეს — ხოტბის შესხმა. ისტორიული რელიეფი კარგად ასრულებდა ამ მოვალეობას. იმპერატორ ტრაიანეს დროს აგებულ ფორუმზე აღმართეს ე. წ. „ტრაიანეს სვეტი“. კოლონა მარმარილოს მრგვალი ბლოკებით არის აგებული. ეს 30 მეტრამდე სიმაღლის ვეება სვეტია, რომელიც სპირალურად დახვეული რელიეფური ზოლით არის დაფარული: რელიეფის საერთო სიგრძე 200 მეტრია, მასზე 25000-მდე ფიგურაა გამოსახული. რელიეფში დაკების წინააღმდეგ იმპერატორ ტრაიანეს ლაშქრობის ამბავია მოთხრობილი. ყველა ამბავი პირუთვნელი სიზუსტით არის მოყოლილი და ამიტომაც ტრაიანეს სვეტის რელიეფებს ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს. ცალკეულ სცენებში მოთხრობილია ამ ბრძოლების სხვადასხვა ეპიზოდი, სიზუსტით არის გადმოცემული ისტორიული მასალა. ხაზგასმულია სხვადასხვა ადამიანთა ეროვნული ნიშნები, გულდასმით არის გამოსახული გრძელწვერა ბარბაროსთა პორტრეტები, გადმოცემულია რომაელი ლეგიონერების დამახასიათებელი სამოსი.

თავისი არსებობის მანძილზე რომაულმა პორტრეტმა განვითარების რთული გზა განვლო. იცვლებოდა თვით ადამიანის გარეგნობა, თმის ვარცხნილობა, სამოსელი და, რაც მთავარია — პორტრეტის სტილი. ავგუსტეს დროის კლასიკურ მიმდინარეობას ფლავიუსებისა და ტრაიანეს ეპოქის უფრო რეალური მიმდინარეობა სცვლის. ბერძნული ხელოვნებით გატაცება საერთოდ რომის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო მის ყველა ეტაპზე. მაგრამ ბერძნულით გატაცება განსაკუთრებით იმპერატორ ადრიანეს დროს (ძვ. წ. II საუკუნის დასაწყისი) გახდა ძლიერი. მის დროს რომში პორტრეტები კლასიკური ბერძნული ნიმუშების მიბაძვით იქმნებოდა. ამ დროის პირმშოა ანტინოეს სკულპტურული სახე, მშვენიერი ბითინიელი ჭაბუკისა, რომელიც იმპერატორის განსაკუთრებული კეთილგანწყობილებით სარგებლობდა. ანტინოეს ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ მისი სახე უკვდავყოფილ იქნა უამრავი ქანდაკებითა და რელიეფით. ყველა ამ პორტრეტს აშკარად ეტყობა კლასიკური საბერძნეთის ზეგავლენა.

ჩვ. წ. II საუკუნის ბოლოსათვის იცვლება რომაული სკულპტურული პორტრეტის ხასიათი, შესრულების მანერა, ცხადი ხდება მარმარილოს ზედაპირის გადაჭარბებული დამუშავებით გატაცება. მოქანდაკის უმთავრესი იარაღი ამ დროისათვის ბურღია. თმა, წვერი, თვალის გუგა ბურღით მუშავდება. ასეთი დანაწევრებული დამუშავებით მიღებული შუქ-ჩრდილის ეფექტები ამ პერიოდის რომაულ ქანდაკებაში მთავარი ხდება.

ბერძნული ქანდაკებისადმი რომის მოქანდაკეთა ინტერესი ძალზე სასარგებლო გამოდგა. ამ ინტერესის წყალობით მოაღწია ჩვენამდე დაღუპული ბერძნული ორიგინალების რომაულმა ასლებმა. მისი წყალობით ვიცნობთ ბერძნული ქანდაკების ძეგლთა უმეტესობას. მაგრამ ასლები მაინც ვერ გადმოსცემს ბერძნული ორიგინალის მთელ მშვენებას, რადგან რომაელი მოქანდაკეები განსხვავებულად ამუშავებდნენ ფაქტურას, სცვლიდნენ დეტალებს, უმეტეს შემთხვევაში აპრიალებდნენ მარმარილოს ზედაპირს, რაც ქანდაკებას უკარგავდა სითბოს და სიცოცხლეს.

III საუკუნისათვის რომის მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისმა, საშინაო და საგარეო მდგომარეობის შეცვლამ, აღმოსავლეთის მომძლავრებამ ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგზე, ხელოვნებაზე და, ცხადია, ოფიციალური პორტრეტის ხასიათზეც. პორტრეტი უფრო მედიდური, მკაცრი გახდა, ხაზი გაესვა ადამიანის ხასიათის მხარეებს, — გმირობას, შეუპოვრობას, მრისხანებას, ცხადი გახდა მხატვრული სახის გაუხეშება. ტექნიკა იგივე დარჩა, ოღონდ უფრო ძლიერად ხდებოდა ინდივიდუალური თვისებების აქცენტირება, რაც ხშირად კარიკატურამდე მიდიოდა.

IV საუკუნისათვის რომაულ ქანდაკებაში აღმოსავლეთის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები შემოვიდა: სიბრტყობრიობა, ფიგურების პროპორციების დეფორმაცია. ამ დროს რომის ხელოვნება უკვე ეცემა.

ანტიკური ხელოვნების ტრადიციები ადგილს უთმობს ხელოვნების ახალ ფორმებს და ანტიკური ხელოვნების რეალისტური ტენდენციები შუა საუკუნეების რელიგიური ხელოვნების პირობითობით იცვლება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



(დემეზონის მიხედვით)

# ერთი პატარა უბედურება

ზღაპარი

ეს პატარა უბედურება არ მოხდებოდა, ჭიანჭველასა და სპილოს წყალი ერთსა და იმავე დროს რომ არ მოსწყურებოდათ.

სპილო განდეგილივით ცხოვრობდა, ორი უთანაბრო ეშვი და ისეთი დიდი ყურები ჰქონდა, რომ თითოში თავისუფლად დაიმალებოდა ორი ადამიანი.

ერთხელ სპილოს ორი შუბი მოხვდა, მაგრამ ადვილად ჩამოიგდო, რადგან რკინის წვერი ღრმად არ ჩასვლოდა. აი, მაშინ გაიცნო სპილომ ადამიანები. მეორედ, რაღაც უხილავმა საგანმა გაუქროლა თვალწინ, კანი გაუკაწრა და გაუჩინარდა.

ამის შემდეგ სპილომ ჭკუა ისწავლა; თავაწეული დადიოდა, რომ ადამიანების მოახლოება ეგრძნო. ზოგჯერ შურისძიების გრძნობა მოერეოდა ხოლმე, გავარდებოდა პლანტაციებში და თელავდა.

ადამიანებს სძულდათ ეს სპილო, ეშინოდათ მისი; მათ ნაცვლად ჭიანჭველამ იძია შური. ეს — უზარმაზარი მარწუხებით შეიარაღებული შავი ჭიანჭველა იყო.

ჭიანჭველა მოგზაურობდა და, აი, ერთხელ წყალი მოსწყურდა. მინდორზე დიდი გუბე დაინახა, შეცოცდა ბალახზე და ის იყო წყურვილი უნდა მოეკლა, რომ უცებ უზარმაზარი ჩრდილი დაადგა თავზე. ეს ის სპილო იყო. სპილოს ფეხქვეშ მიწა ჩაიზნიქა და ჭიანჭველამ თავის ბალახიანად წყალში ამოყო თავი. სპილო დიდხანს სვამდა წყალს. უცებ ჭიანჭველამ იგრძნო, რაღაცამ აიტაცა და ბნელეთში უტკუცა თავი. მაშინვე მიხვდა, რომ სპილოს ხორთუმში იყო და მარწუხებით ჩაეჭიდა კედელს.

აი, მაშინ მოხდა უბედურება!

ხეზე ჩამოკიდებულმა მაიმუნებმა დაინახეს, რომ ჯუნგლების მბრძანებელი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ხორთუმს იქნევდა. მერე ისეთი სუნთქვა დაიწყო, რომ ახლოს ვერავინ მიეკარებოდა. რაკი ვერ მოიშორა ეს რაღაც უბედურება, განრისხდა და ღრიალი მორთო.

სიბრაზე ავის მომასწავებელია. სპილო დაეტაკა ახლო მდგომ ხეს და მათრახივით შემოარტყა ხორთუმი. ხე ირხეოდა, მაგრამ ჭიანჭველას ძვრაც ვერ უყო.



წვალობდა სპილო. თვალებიდან ცრემლი სდიოდა. სიმწრისაგან განრისხებული საშინელი სანახავი იყო. არავის არ ინდობდა, ვინც კი გზად შემოხვდებოდა. ჯერ გარეული კამეჩების ჯოგი დააფრთხო, მერე კი სოფლისაკენ დაეშვა. უკვე შებინდებული იყო, სოფელს რომ მიუახლოვდა. მთლად გადათელა იქაურობა, ქოხები დაანგრია და მთელი ხალხი დააწიოკა.

ვაი-ვაგლახით გაათენა სპილომ. შავი ჭიანჭველა ისევ ხორთუმში იჯდა და მარწუხებს უფრო მაგრად უჭერდა.

მზის ამოსვლისას სპილოს ხორთუმის მხოლოდ პატარა ნაგლეჯიღა შერჩენოდა. საცოდავი, გიჟივით აბრიალებდა თვალებს!

შეშინებულმა ადამიანებმა დაფდაფები აახმაურეს, რომ ყველასთვის შეეტყობინებინათ სპილოს თავდასხმის ამბავი. მათ თეთრკანიან ადამიანებს სთხოვეს შველა, რადგან თვითონ თოფები არა ჰქონდათ.

ვიდრე მშველელი მოვიდოდა, სპილომ სული განუტევა. სოფლელებმა ხორცი გაინაწილეს. ერთ-ერთ ბელადს ხორთუმი ერგო. მან ხორთუმს შავი ჭიანჭველა ამოაცალა და შორს მოისროლა. ჭიანჭველა გონს რომ მოეგო, მარწუხები გაისწორა და ლასლასით გაუდგა გზას. შავი ავაზა შემოხვდა; ავაზამ ზედ არც კი შეხედა, ფეხი გადააბიჯა და გზა განაგრძო. აბა რა იცოდა, რომ ამ პატარა ჭიანჭველამ უზარმაზარი სპილო მოჰკლა!

თარგმნა ი. ქორქიამ.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ

— რომელმა შეჭამა ბალი და-უკითხავად? — ჰკითხა დედამ კლერიტებსა და პოლს, — კურკები ვნახე იატაკზე დაყრილი.

პოლი: მე არა, დედა! მე ყველა კურკა გადავყლაპე.

ასტრონომიის მასწავლებელი გაკვეთილს ხსნიდა. უეცრად, ერ-თი ბიჭუნა მკვირცხლად წამოხტა და მასწავლებელს მიმართა:

— ბატონო, შეიძლება შეგეკი-თხოთ?

— მკითხე, რა გაინტერესებს?

— შესაძლებელია, ოდესმე დე-დამიწა გაჩერდეს?

— დიახ, შესაძლებელია.

— მაშინ, ვინც თვითმფრინავ-ში იჯდება, სადღა დაეშვება?

ბავშვების ჯგუფი ზოოპარკის ერთ-ერთი გალიის წინ იდგა და მხეცებს ათვალიერებდა. ერთმა პატარა გოგონამ წინ წამოიწია და თავის უფროს ძმას ჰკითხა:

— პეტრე, ნეტა რას გვეტყო-და ეს ვეფხვი, ლაპარაკი რომ შე-ეძლოს?

— რას და, იტყოდა: მე ლომი ვარო.

პიერი სკოლაში დასვრილი ხე-ლებით დადიოდა. მასწავლებელ-მა გადაწყვიტა გაეკიცხა, გამოი-ძახა და მთელ კლასს აჩვენა იმისი ხელი.

— რას მგავს ეს, პიერ! მთელ კლასში ვერ მოძებნი ამისთანა ჭუჭყიან ხელს!

პიერმა სწრაფად აწია თავისი მეორე ხელი.

— ბებია, პატარაობისას კამფე-ტები გიყვარდა?

— არა, შვილო, ვერიდებოდი, მეშინოდა, კბილები არ გამფუჭე-ბოდა.

ბავშვმა შეხედა ბებიას, რომელ-საც არც ერთი კბილი არ ჰქონდა და თქვა:

— მე კი ბევრს შევჭამ, მინდა კარგი კბილები მქონდეს!

ფრანგულიდან თარგმნა
ნათელა შავგაიშვილმა.

# ...შენი ვარდი ვარდს სჯობსო!

მზე კარგა მაღლა იყო წამოწე-ული, მაგრამ ისევ დილის სიგრი-ლე სუფევდა. თბილისში, განთქ-მულ მუშტაიდის ბაღში მყუდრო-ება იდგა. ხეივანში ერთი დარბა-ისელი კაცი გამოჩნდა, ქუდი მოი-ხადა, თითქოს ამით პატივი სცა ბაღის მშვენიერებას და აქ თავმო-ყრილ მგალობელ ფრთოსნებს. ამ მხრებგაშლილი, ახოვანი, მომდი-მარე ჰაერის კაცის დანახვაზე თი-თქოს ხეებიც აშრიალდნენ: „ჩვენს ძვირფას აკაკის გაუმარჯოსო“. აკაკიმ ხეივანი ჩაიარა. მერე უკან ამობრუნდა; ყვავილოვან მცენარეებ-თან ჩერდებოდა, ტკბებოდა მათი ცქერით. მერე მტკვრისპირას, ხე-ხილნარში ამოყო თავი. ზოგს უკ-ვე დაეყვავილებინა. ზოგი კი ის-ევ ემზადებოდა კოკრების გასა-შლელად. აყვავებულმა ატამმა თვალი მოსტაცა აკაკის... მაგრამ ეს ერთი წამით მოხდა. აკაკის ყუ-რადღება ხის ქვეშ მჯდომმა კაცმა მიიქცია. კაცი მუხლებზე იყო და-ჩოქილი, ხელები ზე აღეპყრო, თი-თქოს [illegible] და ღმერთს ევედრებაო. აკაკიმ ჯერ შორიდან შეხედა ქანდაკებადქცეულ კაცს, მერე კი გაიფიქრა, მიდი, ახლოს მივალ, გავიგებ, ვინ არისო. აკაკი თავისებური დინჯი ნაბიჯით გაე-მართა. ცოტაზე რომ მიუახლოვ-და, უცებ შედგა: ეს ხომ გაბრიელ სუნდუკიანცია.* უმალ თვალი მოარიდა — მყუდროება არ დაურ-ღვიოო, ხეებს მოეფარა და სკამ-ძელზე ჩამოჯდა. სულ მალე, გზა-ზე მომავალი გაბრიელი დაინახა — კეთილი, მშვიდი; წვერი ახალ გაპარსული ჰქონდა, მზნველი ულ-ვაში კოხტად გადაეწია აქეთ-იქით. აკაკისთან რომ მივიდა, მისალმე-ბის მაგიერ ხმამაღლა მიმართა:

— აკაკიჯან, აქ რას უზიხარ? წა-მოდი, რა გაჩვენო! — უთხრა და თან ხელი მოაშველა წამოსაყენებ-ლად.

გაბრიელი უფრო ხანდაზმული იყო, მაგრამ ისე მარდად და ისე ცოცხლად მოძრაობდა, რომ აკა-კიზე უმცროსი გეგონებოდათ. აკა-კი დინჯად იქცეოდა, თავისებუ-რი ხუმრობის კილოთი დაამშვი-და გაბრიელი:

— ნუ ჩქარობ, გაბრიელ, ხვა-ლაც ამ თვისაა.

გაბრიელმა არაფერი უპასუხა, ხელი გაიქნია, — თუ აქ რა მოსა-ტანიაო და აყვავებულ ატამთან მი-იყვანა.

— ამას ხედავ? — ჰკითხა გაბ-რიელმა და ხელით ანიშნა აყვა-ვებულ ტოტებზე. — რატომ არ დაემხობი პირქვე და თაყვანს არა სცემ მშვენიერების გამჩენს? მე ეს ერთი ხანია, ყოველ დილას მოვ-დივარ აქ და ბუნების მშვენიერე-ბის წინაშე მუხლს ვიყრი.

აკაკიმ თვალი ვეღარ მოაშორა ატამის ხეს.

ხე ქოლგასავით იდგა. ფოთლე-ბი ჯერ არ გამოეტანა. მხოლოდ ყვავილები ამკობდა... ყვავილები, მაგრამ რა ყვავილები! რა ფერე-ბი! შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ხეს ცეცხლი ეკიდაო.

აკაკი გაოგნებული იდგა. მოხი-ბლული შესცქეროდა ატამის ხეს. აღარ იცოდა, ეს მშვენიერება გაბ-რიელზე უკეთესად როგორ შეექ-ო. უცებ პირზე მოადგა ეს ლექ-სი:

— კავკასზე! დიდმა და
ქედმაღალმა,
გაადიდა შენი ბუნება,
და ამ მიდამოს ყვავილოვანმა,
აგიფერადა სამოთხე ვნება.

გაბრიელი, თითქოს ამ სიტყ-ვებს ელოდაო, არ დაფიქრებულა, მაშინვე უპასუხა:

— მარტო შენი კი არა, კავკასზა დიდმა და ქედმაღალმა თვით შენი ბუნებაც გაადიდა.

ამის თქმა იყო და, ისინი ერთ-მანეთს გადაეხვივნენ.

— შენ სომეხი ხარ და მე ქართ-ველი...

გაბრიელმა სიტყვა აღარ დაამ-თავრებინა და აკაკის ლექსი თვი-თონ განაგრძო:

— მაგრამ ძმები ვართ ერთმა-ნეთისა!

ლავრენტი ბიბინაძე.

*) აკაკის [illegible]



ი. სუნდუკიანცი და ა. წერეთელი

მხატვარ ი. ვეფხვაძის სურათის ფოტორეპროდუქცია

საინტერესო

# ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘᲡ ისტორია

ბუნების ცვალებადობამ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში აიძუ-ლა ადამიანი, ეზრუნა „შავი დღი-სათვის“, როცა გვალვა, სიცივე თუ სხვა სტიქიური უბედურებანი შიმშილით სიკვდილის წინაშე და-აყენებდა. პროდუქტების მომარა-გების მიზნით, ადამიანი იგონებდა და სრულყოფდა დაკონსერვების სხვადასხვა ხერხებს; მაგრამ მხო-ლოდ შედარებით ცოტა ხნის წინ იქნა მიღწეული ისეთი კონსერვე-ბის დამზადება, რომლებითაც ვსა-რგებლობთ ამჟამად.

კონსერვი შემთხვევითი გამოგო-ნება როდია. ჯერ კიდევ 1812 წლის სამამულო ომამდე, რუსმა ბუნებისმეტყველმა ვ. კარაზინმა გამოთქვა აზრი ჰერმეტულ ჭურ-ჭელში პროდუქტების შენახვის შესახებ. მაგრამ კონსერვებმა პრაქტიკული გამოყენება მხოლოდ იმპერატორ ნაპოლეონ I-ის ბრძა-ნების შესრულების შედეგად ჰპო-ვა. ნაპოლეონი თვლიდა, რომ „არ არსებობს გამარჯვების ცოდ-ნა, მომარაგების ცოდნის გარეშე“, და ყოველნაირად ცდილობდა, რა-თა მისი არმია ყველგან და ყო-ველთვის უზრუნველყოფილიყო სურსათით. ნაპოლეონ I-ის ბრძა-ნებით, ამ 160 წლის წინ, ფრანგმა აპერმა დაამზადა პირველი კონს-ერვები. მართალია, ეს კონსერვები თავისი ხარისხით დიდად ჩამორჩე-ბოდნენ ჩვენს დროინდელებს. პროდუქტები რკინის ქილაში იყო დაკონსერვებული, რკინა კი იჟან-გებოდა და კონსერვი ფუჭდებოდა.

მხოლოდ 1810 წლიდან, როცა ინ-გლისელმა დიურანდმა წამოაყენა აზრი, — რკინის ქილები უნდა მოი-კალოსო, იწყება სრულყოფილი კონსერვების დამზადება.

კონსერვის შენახვის საგარან-ტიო ვადაა 2-5 წელი. საცდელი საკონტროლო კონსერვი კი 10 წლამდე ძლებს. ისტორიულ ლირ-სშესანიშნაობად ითვლება 1825 წელს დამზადებული კონსერვი, რომელიც აღმოაჩინეს ჩაძირულ ძველ ხომალდში. ამჟამად ეს კონ-სერვი ინგლისის ერთ-ერთ მუზე-უმში ინახება და სპეციალისტების აზრით, მისი შემადგენლობა კარ-გადაა შენახული. თავიანთ დამამ-ზადებლებს სახელი გაუთქვეს იმ კონსერვებმა, რომლებიც სკოტის, ამუნდსენის და შეკლტონის ექს-პედიციებს დარჩათ საწყობებში და, 50 წლის შემდეგ, 1955 წელს, იქნენ აღმოჩენილი. მარადიული ყინულის ორმოებში შენახულმა ამ კონსერვებმა მთლი-ანად შეინარჩუნეს თავიანთი ხა-რისხი.

ჩვენს დროში კონსერვი — ადა-მიანის საკვების ერთ-ერთი შეუც-ვლელი ნაწილია. საკმარისია ით-ქვას, რომ კონსერვის ქილების და-სამზადებლად მხოლოდ ყო-ველწლიურად 5 მილიონი ტონა ფურცლოვანი ლითონი იხარჯება





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ
რაზუმნევიჩი

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე

# ყველაზე ლამაზი

შუადღისას ფოსტალიონმა კლასში წერილი მოიტანა. მას უცნაური მისამართი ჰქონდა: ჩვენი სოფლისა და კლასის დასახელებასთან ერთად, კონვერტზე ეწერა: „გადაეცეს ყველაზე ლამაზ ბიჭს“.

ფოსტალიონმა წერილი კლასის ორგანიზატორს — ვალოდია კურბატოვს ჩააბარა. მერე თავიდან ფეხებამდე აათვალიერა ეს დაბალი ტანის, უშნოდ ჩასუქებული ბიჭი და იჭვნეულად უთხრა:

— იცოდე, წერილი შენ არ გეკუთვნის. კონვერტი ყველაზე ლამაზმა ადრესატმა უნდა გახსნას. — გააფრთხილა და გაბრუნდა.

— კარგი, მოვძებნი, ბატონო...

მაგრამ მოძებნა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. აღარ ვიცოდით არჩევანი ვისზე შეგვეჩერებინა. წერილი რომ ლამაზ გოგონას მისამართზე ყოფილიყო, ბევრი ფიქრი არ დაგვჭირდებოდა, ზინა სინცინა მიიღებდა, იმაზე ლამაზი გოგო კლასში არა გვყავს. ამ აზრისა ვართ ბიჭებიც და გოგონებიც. ერთხელ არითმეტიკის მასწავლებელმაც უთხრა ზინას:

— ზინა, გარეგნობით შენ ყველას სჯობიხარ, ლამაზი ხარ, მაგრამ სიზარმაცე გძლევს.

მეორე დღეს ზინა სკოლაში გამოპრანჭული მოვიდა. ნაწნავებზე ბაფთები გაეკეთებინა და ისეთი ვიწრო ქვედატანი ეცვა, რომ ფეხს ძლივს ადგამდა.

— უჰ, რა ლამაზია! რა კარგად აცვია ზინას! — ამოიოხრეს გოგონებმა.

მაგრამ არითმეტიკის გაკვეთილზე ზინას ვერ უშველა სილამაზემ, ამოცანა მაინც ვერ ამოხსნა. მასწავლებელმა ორიანი დაუწერა.

ნინა ნიკიფოროვამ, რომელიც მერხზე ზინას გვერდით იჯდა, ჩაიქირქილა:

— კოხტად ჩაცმული თავცარიელი ქარაფშუტაა და მეტი არაფერი! მარტო გარეგნობა არა კმარა. ჩეხოვი ამბობდა, ადამიანი, თუ ლამაზი სული არ გააჩნია, ნულიაო.

ნინა ნიკიფოროვა კლასში ყველაზე გონიერ და წინდახედულ მოსწავლედ ითვლებოდა. ჩვენზე მეტი წიგნები ჰქონდა წაკითხული და ყველაფერზე შეეძლო ჭკვიანური მსჯელობა. ის რომ აქ ყოფილიყო, უთუოდ შესძლებდა განესაზღვრა, ვინ იყო ულამაზესი ბიჭი ჩვენს კლასში! მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც ნინა მშობლებთან ერთად სხვა სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. აფსუს! ნინას დახმარებით იოლად გადავჭრიდით ამ საკითხს. მასწავლებელს ხომ ვერ შევეკითხებით. უხერხულია. ესეც არ იყოს, ეგონება, ჩვენ მარტო ჩვენს სილამაზეზე ვფიქრობთ და გაკვეთილებზე არა.

აქამდე სილამაზეზე ფიქრი აინუნშიაც არ მოგვსვლია. ჩვენც ისეთნი ვიყავით, როგორიც ყველა ბიჭია: არასოდეს არ დაგვჭირვებია სილამაზეზე ლაპარაკი.

ამ უცნაურმა წერილმა და მისამართმა კი თავგზა აგვიბნია. ყველას ერთი აზრი გვაწვალებდა — ვინ იყო ჩვენში ყველაზე ლამაზი. მე ჩემს თავს დავასახელებდი, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ თმა ზღარბივით მაქვს აბურძგნული და მაშინვე ენას კბილი დავაჭირე.

სენია კულიკოვმა გულწრფელად აღიარა:

— ლამაზი ვიქნებოდი, ცხვირი რომ გრძელი არა მქონდეს. არ გამოვდგები!

— ცხვირი არ არის მთავარი, — დარბაისლურად წარმოთქვა ვალოდია კურბატოვმა. — სენკა, შენ კუნთმაგარი ბიჭი ხარ! ლამაზი კაცი ღონიერი უნდა იყოს.

— და მამაციც! — დავსძინე მე, — სენკა მშიშარაა. თქვენც ნახეთ რა. ლამაზი!

— თორემ შენა ხარ უკეთესი! — ეწყინა სენკას, — გუშინ შენ არ იყავი, ორიანი რომ მიიღე. ვაჟბატონო ოროსანი ლამაზებში რა ჩასათვლელია!

ბიჭები ერთმანეთის ნაკლის ძიებაში ვიყავით. ერთი მეტისმეტ ყბედად ჩავთვალეთ, მეორეს ნიშნები დავუწუნეთ, მესამეს მუწუკებიანი სახე ჰქონდა, მეოთხეს — პატარა შუბლი... ერთი სიტყვით ლამაზი, როგორც წარმოგვედგინა, ჩვენს შორის არ აღმოჩნდა.

გული გვწყდებოდა, წერილს ვერცერთი ჩვენგანი ვერ გახსნიდა. ეჰ, რას იზამ!

ჩვენმა კლასის ორგანიზატორმა ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ გული თან ამოაყოლა, დადო წერილი ფანჯრის რაფაზე და ყველას გასაგონად თქვა:

— იფიქრეთ საკუთარ თავზე! ვინც მართლა ლამაზია, იმან გახსნას ეს წერილი.

ზარი დაირეკა. მთელი გაკვეთილი დაფიქრებულნი ვისხედით.

უცებ, გახარებულმა პეტია კულემინმა მხარი გამკრა:

— აბა, შემომხედე!

მე შევხედე.

— კარგად შემომხედე, კარგად! მე ხომ ლამაზი თვალები მაქვს, არა?

— თქვა რაღა! რის ლამაზი, ბიჭო, ბუსავით დაგიჭყეტია თვალები!

— სამაგიეროდ, ცხვირი ბებიას მიგავს. დედაჩემი ამბობს, ბებიაშენი ახალგაზრდობაში მზეთუნახავი იყოო.

— ბებია რა შუაშია? შენ შენი სილამაზე უნდა გქონდეს, მამაკაცური! გაიგე?

— თმა? იცი როგორი თმა მაქვს? ხუჭუჭი. როგორ მენანება, რომ მამაჩემი, გაზაფხულდება თუ არა, გადამხოტრავს ხოლმე.

— ძალიანაც კარგად! კულულებიანი ცხვარსა ჰგევხარ.

— ახლა ხომ არა მაქვს თმა, აღარც ცხვარს ვგევარ. ჰოდა, მე ვარ კლასში ყველაზე ლამაზი!

გაკვეთილი დამთავრდა. სხვები ჯერ არც კი წამომდგარიყვნენ მერხებიდან, რომ პეტია წამსვე ფანჯარასთან გაჩნდა. ხელი დასტაცა წერილს და დერეფნისაკენ მოკურცხლა. ჩვენც უკან გამოვუდექით.

— წერილი დააბრუნე, პეტკა, თორემ ვაი შენი ბრალი!

მან ყურიც არ ათხოვა ჩვენს სიტყვებს, თითქოს არც გაუგონიაო, ფაცი-ფუცით გახსნა კონვერტი, სწრაფად ჩაიკითხა სტრიქონები და უცებ გაფითრდა. მერე წერილი მოიქნია და ძირს დააგდო. ჩვენ მაშინვე ვწვდით წერილს და ვალოდია კურბატოვს მივაწოდეთ. მან ხმამაღლა წაიკითხა:

„გამარჯობა, ამპარტავანო!

ბევრი მინახავს ტრაბახა და ბაქია, მაგრამ შენისთანა კი არა.

ლამაზი ის კი არ არის, ვინც ამბობს ლამაზი ვარო ლამაზად სხვებმა უნდა მიგიჩნიონ: თავის ქება სწორედ ყოყოჩა და ქედმაღალი ადამიანის საქმეა.

ბევრს ნუ ფიქრობ საკუთარ თავზე და ცხვირს მაღლა ნუ იწევ, ნუ იბღინძები!

თქვენი კეთილისმსურველი, თანაკლასელი ნინა ნიკიფოროვა.

რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილს ყველაზე ადრე შენ მივარდები, პეტია კულემინო. ნუთუ შევცდები?“

თარგმნა მარიამ კვაჭაძემ.

# ჯიმაღაის ტუსაღები

გაგრძელება. დასაწყისი იხ! მე-8 გვერდზე.

— ბიჭებო! — თენგიზი როგორღაც ისევ მოერია თავს და ზეზე წამოდგა, — გესმით? დანაშაულია ჩვენი უმოქმედობა. ადამიანი იღუპება!

— ჩვენც ვიღუპებით! — ვთქვი მე და ამხანაგებს თვალი მოვარიდე.

— კოტე ვეშაპელი ახლა იღუპება! რაღაცა უნდა ვიღონოთ... უნდა ვუშველოთ!

თენგიზს არ მოუცდია, თუ რას ვუპასუხებდით, ან, ჩვენის მხრივ, რას შევეკითხებოდით, მიტრიალდა და კარვის იმ კუთხეს მიაშურა, სადაც თოვლში ამოგანგლული და ყინულის ლოლუებით დაკორძებული თოკი და წერაყინები ეყარა.

— რას აპირებ, თენგო? — მერაბიც უმალვე წამოხტა ზეზე, — ხომ იცი, თოვლის განძრევა ახლა არ შეიძლება. ზვავის მოწყვეტა წუთის საქმეა!

თენგიზმა პასუხი აღარ გასცა, წერაყინები გვერდზე მიაწყო და ათახთახებული ხელებით თოკი დაითრია.

— საშიშია, თენგიზ, დამიჯერე... — მერაბის ხმის კილოში უკვე თხოვნა და მუდარა ისმოდა.

— მე მივდივარ, სხვა ხომ არა! — ძლივს ამოთქვა თენგიზმა.

— სულ ერთია, ვინც წავა. ჯობია მოვიცადოთ.

— როდემდე?

მართლაც და როდემდე! ფრთხილმა მერაბმა ვეღარაფერი თქვა. ის თავადაც მშვენივრად გრძნობდა, რომ მეტი უმოქმედობა და ლოდინი უკვე შეუძლებელი იყო, ხოლო კოტე ვეშაპელისათვის ის უეჭველ დაღუპვას ნიშნავდა. მაგრამ გამოვიდოდა კი რამე თენგიზის თავგანწირვისაგან? ვაითუ წერაყინის პირველსავე დარტყმას თოვლის ზვინი ერთბაშად დაეძრა და მერე იმას რაღა გააჩერებდა!

არა, ჯობდა ისევ უკეთესზე გვეფიქრა. იქნებ ბედს გაეღიმა და თენგიზი სამშვიდობოს გასულიყო? მან საიმედოდ ჩაიბა წელში ბაწარი, მეორე წვერი კარვის კარში ჩამოსობილ რკინის პალოზე დაამაგრა და წნევითა და ყინვით გამაგრებულ თოვლს წერაყინი ფრთხილად გამოჰკრა. სულ მალე თოვლის ხვრელში შეძვრა და გამალებით განაგრძო თხრა. კარავი სანახევროდ თოვლით აივსო. ტომრები კარვის უკანა კალთის ქვეშ მივკუჭეთ. კოტეს ტომარასაც დავახვევინეთ უკან ორი-სამი ნაბიჯით. სანთელმა სწორედ ამ დროს დაიწყო ბჟუტვა. ალი თხილამურის ცხვირამდე დასულიყო და კარავში გაფიცხებული საღებავის სუნი დგებოდა. მერაბმა ლერწმის ჯოხს წამოავლო ხელი და, თუმცა სანთლის უკანასკნელი ამოსუნთქვა არ ეთმობოდა, წვეტით სანთლის ნამწვზე დააბჯინა. ნამწვი იმწამსვე გაქრა და კარავი კვლავ წყვდიადმა მოიცვა.

— სადა ხარ? — წამჩურჩულა მერაბმა.

— აგერ! — სიბნელეში მისი მკლავი მოვძებნე. მერაბი ლერწმის ჯოხს სდებდა თავის ადგილზე.

— გახსოვს, სად რა გიდევს?

— დაახლოებით.

— მთავარია, მხარი არ გვექცეს.

— ჩაქრა? — გარედან თენგიზმა მოგვაწვდინა ხმა.

— როგორ დაინახე? — გავიკვირვე მე.

— მინათებდა. ნუ გეშინიათ, მალე კლდის პირზე გავალ და მზის სხივს შემოვუშვებ!

— თუ ღამეა?

— მოვიცდი, სანამ გათენდებოდეს. რას შვრებით მანდ, თოკს რომელი იჭერს? თოვლი აყრია ალბათ ზედ. ფრთხილად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამოიღეთ და დაიკავეთ. აქ მგონი ახლოს უნდა იყოს ხრამი. იპოვნეთ?

— კი, კი. — მერაბი თოვლში ხელებს ურევდა და თოკს ექაჩებოდა, — მოდი, გიგი, ამომაწევინე. მთლად გაყინულია ეს ტიალი!

— არ გაუშვათ, თორემ მოვიტეხე კისერი!

— შემოდი, ახლა მე გავთხრი, თუ გინდა. — შეეხვეწა მერაბი და თავი გვირაბში შერგო.

— ბიჭებო, აქ თითქოს სინათლეა! — მოგვაძახა ამის პასუხად თენგიზმა, — აბა კარგად დააკვირდით!

— აქედან არაფერი ჩანს.

— ცოტა გამოუშვით თოკი. ნელა! ისე, მე მგონი, მაგრად უნდა ჰყინავდეს ზემოთ. ვარსკვლავიანი ღამეა, ან ადრიანი დილა.

თენგიზს უკანასკნელი სიტყვა ნათქვამიც არ ჰქონდა, რომ გვირაბში წერაყინის ქვაზე გაწკრიალება და უეცარი შეყვირება მოისმა. ამასთან ერთად ყინვის კორძებით გაუხეშებული თოკი დაიქაჩა და თითებშუა თავბრუდამხვევი სისწრაფით გაცურდა. კარავში თოვლის დგრიალი შემოიჭრა. თითქოს ნახევარი მთა მოწყდა და დგანდგარით უფსკრულისაკენ დაიძრა..

— თენგიზ! — მთელი ხმით დაიღრიალა მერაბმა.

პასუხი არ იყო. სამაგიეროდ, აღარც თოვლის დგრიალი ისმოდა. ქვესკნელი კვლავ სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. უთუოდ გადავრჩით. ერთი წუთის წინათ სადღაც თოვლის ლავგარდანი ჩაშვავდა, მაგრამ ამას ყველაზე საშინელი რამ — ზვავის მოწყვეტა არ მოჰყოლია. ლავგარდანს თენგიზის წერაყინის დარტყმა ჩააშვავებდა. შესაძლოა, ხვრელი კლდისპირს გასცდა და თოვლმა სიმძიმეს ვეღარ გაუძლო...

მერაბმა კიდევ რამდენჯერმე დაიძახა. ყოველ ახალ დაძახებაზე ხმას უფრო და უფრო უმატებდა. სულ დავიწყებოდა, რომ კარავში სულთმობრძავი ავადმყოფი იწვა. პასუხი ახლაც არ იყო. ნუთუ თოვლის ზვავმა თენგიზიც თან გაიტაცა და უფსკრულში ჩაჩეხა?

უცებ ვიგრძენი, რომ მარჯვენა ფეხზე რაღაც მძიმე მაწვა. ეს თოკი იყო, რომლის ერთი წვერი კარვის კარში ჩასობილ რკინის პალოს ეკავა, ხოლო მეორე იქ, სადღაც, ხრამში კონწიალობდა.

— მერაბ! — დავიკვნესე ტკივილისაგან შეწუხებულმა და ფეხის გათავისუფლება ვცადე.

— რა იყო?

— ფეხი მომყვა... თოკის ქვეშ...

— ჰა? — მერაბი თითქოს ახლა გამოერკვა, — თოკი არის? სად?



ამ უბრალო მოწყობილობით შეგიძლიათ დიდი სიამოვნება მიანიჭოთ დიასახლისს — დედას, დას. ფიცრის ბოლოზე ორი ძელაკი დააჭედეთ (კვეთში 4×5) ისე, რომ ძელაკებს შორის მანძილი სკამის საზურგის სიფართე იყოს. მერე ამ ფიცარს ფეხივით საყრდენი გაუკეთეთ და საუთოებელი დაფა მზად გექნებათ. ეს მარტივი მოწყობილობა არც უთოობის, არც მის შემდეგ არ იკავებს დიდ ადგილს.

მაღალი ხის კენწეროზე შერჩენილი ხილის მოკრეფა ძნელია. არც კიბე სწვდება და ტოტზე გასვლაც სახიფათოა. აიღეთ ორი გრძელი ჭოკი (ან ორი ვიწრო ფიცარი) და მაკრატლის მსგავსად, სუფი ღერძით ერთმანეთს მიამაგრეთ. ჭოკებს თავში კონსერვის კოლოფები მიაჭედეთ. ნაყოფი რომ არ დაიბეჭოს, კოლოფებს შიგ რბილი რამ ჩაუფინეთ.



სამზარეულოში კედელზე ან კარადაზე მიაჭედეთ ორი ელექტროკოჭი, მათ შორის მავთული ან ბაწარი გაჭიმეთ. ეს სულ უბრალო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აი, აი, ფეხი მომყვა... ვერ გამომიძვრია!

— შენი ჭირიმე, გიგი, რა მარჯვე ბიჭი ხარ! როგორ დაა-კავე? მე მეგონა, თოკი ორივეს გაგვისხლტა და დავიღუპეთ! აბა, ვწევ... ერთი, ორი, სამი! გამოიღე?

— ოჰ! — შვებით ამოვისუნთქე და ზეზე წამოვდექი, — — ძლივს არ მომეშვა?

— რა ვქნათ? — მერაბი უჩვეულოდ დაბნეული იყო. კა-რავში ადგილს ვეღარ პოულობდა. — თოკი ამოგვექაჩა?

— ცურავს, ხელი არ ეკიდება.

— აბა, მე ცოტაზე გავყვები. იქნებ კლდის პირამდე მივიდე.

არ მინდოდა გამეშვა, შენც რომ რაიმე ხიფათი შეგემთხვეს, აქ მე და კოტემ მარტოდმარტო რა უნდა ვქნათ მეთქი, მაგრამ კარგად ვხედავდი — სხვა გზაც აღარ იყო. ერთ-ერთ ჩვენ-განს ძალღონე უნდა მოეკრიბა და თენგიზის ასავალ-დასავა-ლის გასაგებად თოკს გაჰყოლოდა. მაგრამ ვაითუ ლავუარ-დანის უცაბედმა ჩაშვავებამ თენგიზის ხელით გაყვანილი ხვრელიც დაანგრია? მაშინ ხვრელი ხელახლა საჯახირებელი გახდებოდა. მოგვცემდა კი დაძრული თოვლი ახალი ხვრელის გათხრის ნებას?

13

სწორედ მოლანდებას ჰგავდა: გვირაბის იქითა ბოლოდან თენგიზის ხმა გავიგონე. მესმოდა და მაინც ვერ დამეჯერებინა. მართლა თენგიზის ხმა იყო თუ საიდანღაც შემოჭრილი ქარის ღმუილი ადამიანის ხმას მივამსგავსე?

თენგიზი რაღაცას ეძახდა ხრამის პირზე გადამდგარ მერაბს. მერაბმა კარგა ხანს იხოხა, სანამ იქამდე მიაღწევდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ის კარავში შემობრუნდა და მაშინღა დავრ-წმუნდი, რომ ყოველივე ეს მართლა მოლანდება იყო. ლავ-გარდანის ჩამოწოლის დროს სასწაულებრივად გადარჩენილი თენგიზი, კარვიდან ხუთი-ექვსი ნაბიჯის მოშორებით, კლდე-ზე ეკიდა.

მერაბი ძალიან აღელვებული ჩანდა. სიტყვა ძლივს მიაბა სიტყვას და ეს ამბავი ძლივს გამაგებინა.

ხელებზე პირსახოცები დავიხვიეთ და ისე ჩავეჭიდეთ გა-ლიპულ თოკს. თავდაპირველად ძალიან გაგვიძნელდა მოქაჩ-ვა. თოკზე მიკრული ყინულის კორძები კლდის იმ ქიმს ედე-ბოდა, რომელზეც თოკი იყო გადაკიდებული. მერე და მერე თენგიზი ალბათ კლდეს მისწვდა, დამზრალი თითები ჩაჰკიდა და თავათვე მოგვეხმარა. სანახევროდ ჩამონგრეულ ხვრელში მალე თოვლის უთანაბრო ხრაშახრუშიც მოისმა. უღმერთოდ დაღლილი თენგიზი მთვარეულივით შემობარბაცდა და კარ-ვის შემოსასვლელში პირქვე დაეცა. მივცვივდით, სიბნელეში ხელების ცეცებით წელზე შემოსკვნილი თოკი მოვხსენით, მხრებში შევუდექით, კარავში შევაფხოკიალეთ და რომელი-ღაც ტომარაზე დავაწვინეთ. თენგიზმა მალე მოითქვა სული და მაშინვე კოტე მოიკითხა. უპატრონოდ დაგდებული ავად-მყოფი, ჩვენდა სამარცხვინოდ, მე და მერაბს ახლაღა გაგვახ-სენდა. წუთით სამივე გავინაბეთ. კარავში კოტეს აჩქარებუ-ლი სუნთქვა ისმოდა.

— მგონი გადავრჩით... — სვენებ-სვენებით თქვა თენგიზ-მა და გათოშილი ხელები შესახურებლად დაგვანება.

— იქ რა მოხდა? როგორ გადარჩი? — მოუთმენლად მი-ვაყარეთ კითხვები, რაკი შევატყეთ, რომ პასუხის გაცემა უკვე შეეძლო, — სულ გარეთ გახვედი?

— კი... — თენგიზმა ნერწყვი გადაყლაპა, — ძალაუნე-ბურად. თოვლი რომ ჩაინგრა... წყნარი ღამეა. ვარსკვლავე-ბით მოჭედილი ცა...

— მეტი არაფერი შეგიმჩნევია?

— სადღა მქონდა თავი. პირველ წუთებში გონება დავკარ-გე. აღარ მახსოვს, რა იყო. წელის ტკივილმა გამომაფხიზლა. მაშინ დავინახე, რომ კლდის ქიმზე ვეკიდე. ძირს შავი ტა-ფობი იყო და წყლის ჩხრიალი ამოდიოდა. კიდევ უნდა გავი-დეთ და დავზვეროთ. კლდისპირიდან ალბათ ყველაფერი ჩანს. ისე კი, მე მგონია, — თენგიზს თანდათან უბრუნდებოდა ლა-პარაკისა და მსჯელობის უნარი, — ხვალ ეს თოვლიც დაიძვ-რის. აქ გაჩერება აღარ შეიძლება.

— ამაღამვე ავიბარგოთ? — ჰკითხა მერაბმა.

— აჯობებდა, მაგრამ ჯერ მთვარე არა ჩანს.

— მთვარის შუქს ენდობი? ავადმყოფი რომ არა გვყავდეს, კიდევ ჰო ჯობს გათენებას მოვუცადოთ.

ამ დროს კიდევ შეზანზარდა მიწა, თითქოს ზურგიდან ზედ-მეტი ტვირთი გადაიგდოო და კარავში კვლავ შემოიჭრა თოვ-ლის დგრიალი. სამივე სმენად გადავიქეცით და სიბნელეში ერთმანეთს მივაჩერდით.

— ნაჭერ-ნაჭერ წყდება, — ახსნა თენგიზმა და მაჯაში უნებლიედ ჩავლებული ხელი გამიშვა.

— ნეტა შორს იყო? — დაინტერესდა მერაბი.

— კლდისპირზე, შენ რომ იდექი. ახლა იქიდან ყველაფერი ჩანს. აი, დააკვირდი!

და მართლაც: გვირაბის ბოლოში რაღაც ჭუჭრუტანისმა-გვარი მოჩანდა და შორს, ძალიან შორს, მგონი, წვრილი ვარსკვლავი ციმციმებდა.

— მართლა ვარსკვლავია? — კარს მომდგარი ბედნიერება ისე მოულოდნელი იყო, მე საკუთარ თვალებს ვეღარ ვუჯე-რებდი.

— სად? — აქედან და იქიდან მომეხუტნენ მერაბი და თენ-გიზი.

— აი, ხედავთ? ციმციმებს... მეორეც ჩანს! ცოტა უფრო შორს — მესამეც.

— რომელი მხარეა თქვენი აზრით? — მერაბმა ეს ჩვენცა გვკითხა და თავისთავსაც.

— რასაკვირველია, სამხრეთ-აღმოსავლეთი! — უმალ მიუ-გო თენგიზმა. ის ახლა გმირი იყო და სიზმარიც კი დაეჯერე-ბოდა, — გვირაბის ჭუჭრუტანა მნის ხეობას გადაჰყურებს.

— მეც აგრე მგონია. მაგრამ ეს მამაჩემი და გერა...

— ნუ გეშინია. თოვლის ზღუდე იმათი კარვის წინაც მო-ირღვეოდა. ინათებს თუ არა, ხმას მოგვაწვდენენ.

დასასრული
შემდეგ
ნომერში

---

გასაკეთებელია, ქვაბის სახურავის გასაშრო-ბად კი პირდაპირ მის-წრება იქნება.



ხეზე რაიმე დაფის მიჭედებამ შესაძლოა მცენარე გაახმოს, ამი-ტომ, თუ ეს აუცილებე-ლია, ხეს რეზინის სალ-ტის ნაჭერი შემოახვი-ეთ, მერე კი ზედ ფიცარი მიაჭედეთ.



სამედიცინო შპრიცი შესანიშნავი საშუალებაა ელექტროხელსაწყოებ ი ს დასაზეთად. ნემსის წვე-რით ყველა ადგილს იო-ლად მიუდგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ ძავთარაძე. პეიზაჟი. ზეთი.

# გამოფენა სკოლაში

ნათელ, ფართო საკლასო ოთახში სიჩუმე მეფობს. სიწყნარეს დროდადრო ფანქრის წრიპინი და სახატავი ფურცლების შარიშური არღვევს. მერხებს შორის დინჯად დადის მასწავლებელი. ხან ერთთან შეჩერდება, ხან მეორესთან და ყველას საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევს. ეს, თბილისის მე-17 საშუალო სკოლის ხატვის წრის წევრები შეკრებილან მორიგ მეცადინეობაზე და ხატვის საიდუმლოებას ეუფლებიან.

— გიული, აბა დააკვირდი ლარნაკის შუქ-ჩრდილებს; ხომ ხედავ, ეს მხარე უფრო ჩაბნელებულია. ჰოდა, შენც ასე უნდა გადაიტანო ტილოზე, ეს ნაწილი უფრო მეტად უნდა ჩაამუქო, — უხსნის საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი რუსუდან ჯავრიშვილი, რომელიც აგერ უკვე თხუთმეტი წელია, ამ წრეს ხელმძღვანელობს. მან კარგად იცის, რომ წრის წევრთაგან ყველა არ გამოვა მხატვარი, მაგრამ ვინც სკოლის დამთავრების შემდეგ მოისურვებს მხატვარი ან არქიტექტორი გახდეს, წრეში მიღებული ცოდნა მას უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს მიზნის მიღწევაში.

ამასწინათ სკოლაში მოეწყო ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სამი თაობა — პირველიდან მეხუთე კლასამდე, მეხუთედან მეათეს ჩათვლით და ამ სკოლის კურსდამთავრებულები. გამოფენამ ცხადჰყო, რომ ნორჩი მხატვრები კარგად გრძნობენ ფერებს, ერკვევიან კომპოზიციაში, შუქ-ჩრდილებში...

გამოფენა მრავალმა მნახველმა დაათვალიერა. აქ იყვნენ პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილების მუშაკები, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ელენე ახვლედიანი, სკოლების დირექტორები, მასწავლებლები, მხატვრები, მშობლები და სტუდენტებიც, რომლებსაც ბევრი ტკბილი მოგონება აკავშირებთ ამ სკოლასთან. დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებოდნენ ნახატებთან, მათ სახეებზე ამოიკითხავდით გაოცებას, — ნუთუ ეს ნახატები ნორჩების შექმნილიაო. ვერ დაფარა თავისი გაოცება სახალხო მხატვარმა ელენე ახვლედიანმაც: — „ასეთი თოვლის დახატვა ალბათ მეც გამიჭირდებოდა, შესანიშნავია!"

ნორჩმა მხატვრებმა და მათმა ხელმძღვანელმა სიამაყის გრძნობით მოიგონეს სამხატვრო წრის ყოფილი წევრები, ისინი, რომლებმაც ასახელეს მშობლიური სკოლა. მაგალითად, ნ. ბედიაშვილი, რომელმაც უკვე დაამთავრა სამხატვრო აკადემია. მან

ლალი იოსელიანი.



თინა ერისთავი. ნატურმორტი. ფანქარი.



1. ირმები. აკვარელი.
2. პეიზაჟი. აკვარელი.
3. ნატურმორტი. აკვარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





**რუსუდან ლონგურაშვილი.**
პეიზაჟი. აკვარელი.

ათასამდე ნახატი იყო წარმოდგენილი, ნერუს სახელობის პრიზი და დიპლომი მოიპოვა. მართალია, ა. თომაშვილმა სამხატვრო აკადემიის ნაცვლად უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ მას მხატვრობისათვის თავი მაინც არ მიუნებებია. იგი ამჟამად თავისი ახალი პერსონალური გამოფენისათვის ემზადება.

ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს თავისი ორი ნამუშევარით („თბილისი ღამით“ და „ქართული სუფრა“) მონაწილეობა

უფროსი ასაკის მოსწავლეთა ნამუ-



**კოტე ნანიკაშვილი.**
პეიზაჟი. ზეთი.

შევრებიდან ყურადღებას იპყრობდა ლალი იოსელიანის, რუსუდან ლონგურაშვილის, ზურაბ ქავთარაძის, თინა ერისთავის, კოტე ნანიკაშვილის და სხვათა ნამუშევრები. ყურადღებას იქცევდნენ აგრეთვე პატარების — მანანა შენგელიას, მაია გოგოლაშვილის და თამარ ბახტაძის ნახატები.

მიიღო ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაში. ხოლო ა. თომაშვილმა ნიუ-დელიში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც სამოცდაათი-

დამთვალიერებლები კმაყოფილნი სტოვებდნენ გამოფენას, ყველას ახარებდა ნორჩი მხატვრების წარმატებები.





შორეულ წარსულში, როცა თამბაქო ის-ის იყო ჩვენშიც შემოვიდა, ერთ სოფელში ცხოვრობდა ძალზე ჭკუამახვილი კაცი, რომელიც სასტიკად ჰკიცხავდა ყველას, ვინც კი თამბაქოს ქებას დაიწყებდა.

ერთ კვირა დღეს ამ სოფელში მისულან თამბაქოს გამავრცელებლები, გამოეტანათ თამბაქოს ფოთოლი და მოსახლეობას აწონებდნენ: შეიძინეთ „ღვთის ფოთოლიო“, ამა და ამ ავადმყოფობის წამალიო. ცამდე აჰყავდათ ქებით; თან ანგარიშობდნენ, რა შემოსავალი მოელოდათ თამბაქოსაგან.

გლეხები უსმენდნენ, მაგრამ არ სჯეროდათ ვაჭრების ნათქვამი. სად იყო და სად არა, ის ჭკვიანი გლეხიც გამოჩნდა.

— ეგ რაა, — თქვა მან, — ესენი ძალიან ცოტას ამბობენ თამბაქოს სარგებლობაზე; მე უფრო მეტს გეტყვით: თუთუნისმწეველი კაცის სახლში არასდროს არ შევა ქურდი, თუთუნისმწეველს არასდროს არ მიეტანება ძაღლი, და თვითონ არასდროს არ დაბერდება!

გახარებული ვაჭრები გარშემოეხვივნენ ჭკვიან გლეხს და სთხოვეს: — აბა, შენი ჭირიმე, უთხარი ამ ხალხს რატომ ხდება ასეო.

— ახლავე, — თქვა გლეხმა, — ქურდი არ მიეტანება იმიტომ, რომ თუთუნისმწეველი კაცი მუდამ ახველებს და ამიტომ ღამე რიგიანად არ სძინავს; ქურდი კი, აბა, რას შევა იმ სახლში, რომლის პატრონსაც თითქმის სულ ღვიძავს? ძაღლი არ უკბენს იმიტომ, რომ თუთუნისაგან ჯანგატეხილი კაცი იძულებული იქნება ყავარჯენით იაროს, ძაღლი კი, იცით — ხეიბარს არ ერჩის, არ დაბერდება იმიტომ, რომ თუთუნის წევა მას არ დააცდის დაბერებას და ნაადრევად მოუღებს ბოლოს.

გ. დათუაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## რა არ ხდება...

აი, რა სასაცილო ამბავი მოხდა ავსტრალიის ქალაქ ბრიზბეინში: **ზოოპარკის** ორმა მოსამსახურემ ერთხელ ლომების გულისგამგმირავი ყვირილ გაიგონა. მიირბინეს ვოლიერთან და რას ხედავენ! — შიშისაგან დამფრთხალი ოთხი ლომი გალიის კუთხეში მიკუნჭულა, ხოლო მათთან შემთხვევით მოხვედრილი ერთიციდა გოშია გააფთრებით ესხმის თავს ცხოველთა მეფეებს. ამაზე იტყვიან ხოლმე: რა არ ხდება ამ დალოცვილ ქვეყანაზეო...

## მელნის ტბა

„მელნის ტბა" — ფიგურალური გამოთქმაა და პოეტები მას დიდრონი, შავი თვალების ეპითეტად ხმარობდნენ. სინამდვილეში მართლაც არის ასეთი ტბა. იგი ალჟირის ქალაქ სიდი-ბელ-აბესის მახლობლად მდებარეობს. ამ ტბაში ჩაედინება ორი მდინარე. ერთი მდინარე რკინის მარილებითაა მდიდარი, მეორეში კი ბევრია ნავთი. მათი ერთმანეთში შერევის შედეგად წარმოიქმნება ჩინებული მელანი.



## ბაყაყების ბედი ინგლისში

ინგლისელი პროფესორი პრინქლი ამტკიცებს, რომ მათ ქვეყანაში ჩვეულებრივი ბაყაყი სულ მალე, გადაშენებულ ცოცხალ არსებათა რიცხვს მიემატება, ყოველწლიურად უფრო მეტი და მეტი ბაყაყი იღუპება ინგლისის სხვადასხვა საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებსა და სკოლებში, სადაც მათ იყენებენ ბიოლოგიის გაკვეთილებზე.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ინგლისში ბაყაყი ძნელად საპოვნ არსებად იქცა. ამ ამბავმა დიდად შეაშფოთა ინგლისელი ბუნებისმეტყველები. სათანადო ზომებიც იქნა მიღებული: ახლა აქ ბაყაყის დაჭერა მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეიძლება.

## არაჩვეულებრივი მდინარე

ჩილის ქალაქ არიკას მახლობლად ჩამოდის არაჩვეულებრივი მდინარე: მის კალაპოტში წყალი მხოლოდ ღამით მიედინება, დღისით კი სრულიად ქრება. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ ამ მდინარეს კვებავს წყალი რომელიც ანდებში თოვლის დნობის შედეგად ჩნდება, თოვლი კი დღისით დნება და წყალი მდინარემდე მხოლოდ საღამოს აღწევს.

## სიცივე ვერ კლავს

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ ბიოლოგები დარწმუნებული იყვნენ, რომ დაბალი ტემპერატურა დამღუპველია




ცოცხალი არსებისათვის. საბჭოთა მეცნიერებმა ეს აზრი ეჭვქვეშ დააყენეს. ჩატარდა ასეთი ცდა: თაგვი ჯერ დაამინეს, მერე კი მოათავსეს თხევადი აზოტით სავსე ქილაში. სითხის ტემპერატურა მინუს 200 გრადუსი იყო.

ერთი შეხედვით ჩანდა, რომ თაგვი გაიყინა: შეწყდა გულისცემა და სუნთქვა. მაგრამ, როგორც კი სითბოში მოათავსეს, თაგვი მაშინვე გაცოცხლდა. მაშასადამე, სასიცოცხლო პროცესები ორგანიზმში, სიცივის შედეგად, სამუდამოდ კი არ შეწყდა, არამედ მხოლოდ მიყუჩდა. ეს დასკვნა კი ძალზე მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის.

## საჰარის წიაღში ტბაა

საჰარის წიაღში აღმოაჩინეს მტკნარი ტბა. 400 მეტრის სიღრმეზე საკმაოდ ბევრი წყალი ყოფილა. როცა ჭაბურღილი გაჭრეს, ამოხეთქილი წყლის შადრევანმა 80 მეტრის სიმაღლეს მიაღწია.

## სამთვარეო ტაქსი

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს მთვარეზე კოსმონავტების დასხდომასთან დაკავშირებული სამუშაოები. მრავალ პროექტთა შორის, სამთვარეო ტაქსის პროექტიც კი წარმოადგინეს. ეს მანქანა ორი ადამიანის სატარებლადაა გათვალისწინებული.



## არის ასეთი კლუბებიც

ესპანეთში არსებობს დაბალი ტანის ადამიანთა კლუბი, რომელსაც სულ 45 წევრი ჰყავს. კლუბის ძირითადი ამოცანაა, უზრუნველჰყოს თავისი წევრები თეატრალურ წარმოდგენებზე პირველი სამი რიგის ბილეთებით.

...ნიუიორკელ ქვეითად მოსიარულეთა კლუბი გახსნისას ასეულ ათასობით წევრს ითვლიდა. 1961 წელს წევრთა რიცხვი 1508-მდე შემცირდა, 1962 წელს — 27-მდე, 1963 წელს — 15-მდე, 1964 წელს — 2-მდე. ამ დროისათვის კლუბი მხოლოდ თავისი პრეზიდენტისა და ხაზინადრისაგან შედგებოდა. ახლახან კი პრეზიდენტმა და ხაზინადარმაც იყიდეს მანქანები და კლუბმა არსებობა შეწყვიტა.

... კლუბი „ცამეტი" ამერიკაში დაარსდა სხვადასხვა ცრურწმენასთან საბრძოლველად. კლუბის საზოგადოების საორგანიზაციო კრება ჩატარდა 13 დეკემბერს, № 13 ოთახში მე-13 სართულზე. კრებას დაესწრო კლუბის 13 წევრი და ბინის პატრონი ქალი თავისი 13 კატით. კრება მიმდინარეობდა სარკეების მსხვრევის ხმაურში. კრების მონაწილენი მაგიდაზე აბნევდნენ მარილს და ასანთის ერთ ანთებულ ღერზე სამ-სამი უკიდებდა სიგარას. არჩეული იქნა „ქალბატონი ანტიცამეტი". ამ კლუბის ფილიალები აშშ-ს მრავალ შტატშია ჩამოყალიბებული.

... ლონდონში მუშაობს პროფესიონალ-ხელმოცარულთა კლუბი. მისი პირველი კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს გამასხარებულმა მსახიობებმა, აუღიარებელმა მხატვრებმა, უსახელო მუსიკოსებმა, ვექილებმა, რომელთა კლიენტებიც სახრჩობელაზე იყვნენ გაგზავნილნი, და კიდევ ბევრმა უიღბლო ადამიანმა.

# ჟურნალ „პიონერში" 1967 წელს გამოქვეყნებული

რედაქციის საახალწლო მისალმება მკითხველებისადმი, № 1.

ბრძანებულება ჟურნალ „პიონერის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ, № 1.

## პროზა, დრამა

რ. კახიძე, თ. კიკნაძე — იდუმალი ორეული (ფანტასტიკური მოთხრობა), № 1, 2.

ს. კლდიაშვილი — დაუვიწყარი ზაფხული (ბიოგრაფიული მოთხრობა), № 1, 2, 3.

გ. მუჯირიშვილი — ცხვირკეხა (მოთხრობა), № 1.

ნ. ხოძა — როგორ გახდა ნადკა ნადია (მოთხრობა, თარგმანი ს. ბეჩოელისა), № 1.

ე. მარი - დაჰერობანა (მოთხრობა, თარგმანი ლ. შენგელიასი და გ. მეტრეველისა), № 2.

.ნ. კეცხოველი — ცხრათვალა მზის ქვეშ (მოთხრობა), № 2, 3, 4.

ნ. შამანაძე — ყველაზე ძვირფასი (ზღაპარი), № 3.

რ. ქორქია — ძვირფასი წვლილი; ჩიტბატონა (მოთხრობები), № 4; მარილის აკვანში (მოთხრობა), № 11.

მ. ხერგიანი — თეთრი ხახურავები (მოთხრობა), № 4.

რ. კიპლინგი — რიკი-ტიკი-ტავი (მოთხრობა, თარგმანი გ. კიკილაშვილისა და ა. ჭანტურიასი), № 4.

ქ. ჰილაშვილი — ეკიპაჟი „კისკისა" (პიესა), № 5, 6.

რ. ჩაჩანიძე — ჩაძირული კუნძული (ფანტასტიკური მოთხრობა), № 5.

ი. სოტნიკი — მამლაყინწები (მოთხრობა, თარგმანი ვ. ძიძიგურისა), № 5.

დ. ვადაჭკორია — ჩემი სოფელი (მოთხრობა), № 6.

რ. ჯაფარიძე — ჯიმარაის ტუსაღები (მოთხრობა), № 7, 8, 9, 10, 12,

რ. ელანიძე — ბროლის ხეობა (მოთხრობა), № 7.

აქლემი და ტურა (ტაჯიკური ზღაპარი, თარგმანი მ. ჭიაბრიშვილისა) № 7.

არა-მწერალი — ხანჯალი (მოთხრობა), № 8.

ს. ჰედაიათი — უპატრონო ძაღლი (მოთხრობა, თარგმანი თ. კეშელავასი), № 9.

მ. კ. როულინგსი — ის არ არის ობოლი (მოთხრობა, თარგმანი ნ. ფურცელაძისა), № 10.

გ. პაპუაშვილი — ცეცხლი (მოთხრობა), № 10.

ი. კორინეცი — ცხრა მთას იქით, შორეთში (მოთხრობა, თარგმანი ზ. ლეშკაშელისა), № 11.

ლ. ჰიჰინაძე — ...ძმები ვართ ერთმანეთისა (მოთხრობა), № 12.

ვ. რაზუმნევიჩი — ყველაზე ლამაზი (მოთხრობა, თარგმანი მ. კვაჭაძისა), № 12.

ერთი პატარა უბედურება (მოთხრობა, თარგმანი ი. ქორქიასი), № 12.

## პოეზია

ჯ. ჩარკვიანი — თეთრი სიმღერა; ფიფქის სიყვარული; იისფერ თოვლში; ბედნიერება (ლექსები), № 1.

ო. მამფორია — დიდგულა (ლექსი), № 1.

ა. გეწაძე — ასე ამბობს საქართველო (ლექსი), № 2.

კ. გოგიაშვილი — სადაც უნდა ვიყო (ლექსი), № 2.

ო. შალამბერიძე — ჩვენდა საბედნიეროდ (ლექსი), № 2.

მ. კახიძე — ორი არაგვიანი (ლექსი), № 3.

ნ. კილასონია — ბავშვობას ვხატავ; სარკმელს ალებენ (ლექსები), № 3.

ქ. მიქაძე — გაზაფხულმა შემოგვცინა (ლექსი), № 3.

ნ. დარსაველიძე — ზამთარი (ლექსი), № 3.

გ. კაჭახიძე — თქვენს გასაგონად, ტყემლებო; ნაკადულებო, ფრთხილად! (ლექსები), № 4; მშვენიერება დადის ქალაქში (ლექსი), № 10; ობელისკი, დედის წყარო (ლექსები), № 12.

ი. ბარამიძე — მთების სიმფონია; უსათაურო (ლექსები), № 4.

ა. აბულაშვილი — გაზაფხული (ლექსი). № 5.

გ. ჰიჰინაძე — ფოლაქი და ნემსი (იგავი). № 5.

გ. გიგაური — პიონერული (ლექსი). № 6; ზეიმია (ლექსი), № 11.

ტ. მეზურიშვილი — მომაგონდება: და უხაროდა აცდენა საფანტს; გზები, გზები... (ლექსები). № 7; თვითმფრინავიდან; ბავშვები სწუხან: ეს ალავერდი (ლექსები), № 12.

შ. შუბლაძე — წისქვილი; ტრაბახა ლოქორა (იგავები), № 7.

ს. შამფრიანი—ჩვენი ზაფხული (ლექსი). № 8.

გ. ძნელაძე — რომ ვარსკვლავებშიც დავრეკოთ ზარი (ლექსი), № 9.

ი. ნონეშვილი — ძმები ნერგები; ადიგენი; ქვეყნად სად არ ვიარე (ლექსები), № 9.

ჯ. ნიქაბაძე — პიონერული მატარებელი (ლექსი), № 10.

ზ. გოლქვაძე — გახსოვდეს!.. (ლექსი), № 10.

მ. ფოცხიშვილი — სიმღერა ოქტომბერზე (ბალადა), № 11.

ვ. გორგანელი — საოქტომბრო (ლექსი), № 11.

## პიონერული ცხოვრება

ნ. ნორაკიძე — კუნძული ტანაზე (ნარკვევი), № 1.

შ. ხონელიძე — შინ მშვიდობით რომ მივიდეთ (საუბარი), № 1.

თ. ცაგარელი — ბებია და შვილიშვილები (ნარკვევი), № 2, შავი ზღვის პირას (ნარკვევი), № 7.

გ. კაკაბაძე — ეს გზა მზემდე აგიყვანთ (ნარკვევი), № 4.

ე. სახვაძე — ჰორიზონტი ივრცობა (ნარკვევი), № 5; ზეგ შვიდი ნოემბერია (ნარკვევი), № 11.

ს. შამფრიანი — ყოჩაღ, საჯავახოელო პიონერებო! (ნარკვევი), № 6.

ა. ჩიგოგიძე — 280 ბედნიერი ღიმილი (ფოტორეპორტაჟი), № 8.

მ. ჩორგოლაშვილი — მსოფლიოში პირველი (წერილი), № 8.

ს. ბეჩოელი — წითელყელსახვევიანთა რესპუბლიკაში (ნარკვევი), № 10.

ნ. მგელაძე — მამათა სახელით ვფიცავთ (ნარკვევი), № 11.

საქ. სსრ ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკური კლუბის დებულება, № 6.

ნორჩ შემოქმედთა კონკურსის შედეგები, № 11.

## აი, რა მოგვცა ოქტომბერმა

გ. ზარდალიშვილი — დიადი გარდაქმნების ეპოქა (წერილი), № 3.

ა. კელენჯერიძე — ქართული სოციალური კულტურის აყვავება (წერილი), № 5.

გ. ხაითიძე — ხალხთა ძმური ოჯახი (წერილი). № 4.

თ. ბერიძე — ძველი და ახალი (ფოტონარკვევი), № 2, 5, 7, 9.

ნ. მგელაძე — ფერისცვალება (ნარკვევი), № 6.

შ. ლარცულიანი — მეტალურგიული გიგანტი (წერილი). № 8: ზაჰესი — 1927, ენგურჰესი — 1970 (წერილი). № 10.

გ. ძოწენიძე — დიადი იუბილე (წერილი), № 11.

## რევოლუციის ჯარისკაცი

თ. შავიშვილი — როცა მზე ამოდიოდა... (მოგონება), № 2.

ორი რევოლუციის მეკავშირე (ვ. ურასოვის ნაამბობი), № 8.

გ. ავალიანი — პროხოროვის კლდე (წერილი), № 9.

კ. კობერიძე — გზა საამაყო და სამაგალითო (ნარკვევი), № 11.

პატარა კომუნარი (წერილი), № 11.

## ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ტექნიკა, მეცნიერება, სპორტი

ი. შ. კვასხვაძე — ვ. სიდამონ-ერისთავი (წერილი), № 1.

ნ. ქარუმიძე — ზარზმა (წერილი), № 2.

გ. ბაიშელი — ღრუბლებივით მიჰქრიან წლები (ნარკვევი), № 3.

მ. მრევლიშვილი — მისი ცხოვრების საიალალო (წერილი), № 3.

ლ. თაბუკაშვილი — სამსონ ნადარეიშვილი (წერილი), № 3.

იაკობ ნიკოლაძე (დაბადების 100 წლისთავი), № 5.

აქარგული, ჩაქარგული (ნ[illegible] მუსიკა ნ. გაბუნიასი), № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ანთელავა — ლევან II დადიანი (წერილი), № 7.
ზ. გოგატიშვილი — ჩიმბორასოდან ჯომოლუნგმამდე (წერილი), № 7.
ვ. ნიკოლაძე — როგორ შევადგინოთ კროსვორდი (წერილი), № 7.
მ. ხერგიანი — პირველი მასწავლებელი (ნარკვევი), № 9.
ზ. ჯაფარიძე — კიდევაც დაიზრდებიან (ნარკვევი), № 10.
თ. გიორგაძე — ენრიკო მეკინგი (წერილი), № 10.
„ექსპო—67" (წერილი), № 12.

ვიდრე ცხოვრების დიდ გზაზე გახვიდოდე...

როგორ დავზოგოთ დრო (რჩევა-დარიგება), № 1.
მე არ გაგახსენდი? (ამბავი სკოლა-ინტერნატის ცხოვრებიდან), № 2.
გ. გელაშვილი — საფრთხილობელი (წერილი), № 3.
ჩ. ჩაპლინი — ეცადე შენც! (წერილი), № 4.
გ. პელიძე — მას საქართველო დარჩა ოცნებად (ნარკვევი), № 5.
თ. ბიბილური — სიბრძნე სიკეთისა (წერილი), № 6.
რ. ქორქია — ზაქარია ჭიჭინაძე (მოგონება), № 7.
მ. მანოლი — სენტ-ეკსი — პილოტების პრინცი (ნარკვევი), № 9.

მშვენიერების სამყაროში

ე. მაჭავარიანი — სიმფონიური ორკესტრის საკრავები (წერილი), № 1; ოპერის ბიოგრაფია (წერილი), № 2; ოპერა (წერილი), № 3; ქართული ოპერის სათავეებთან (წერილი), № 5.
ნ. ქავთარაძე — მუსიკა მხოლოდ გართობა როდია (წერილი), № 4; ჯაზური მუსიკა (წერილი), № 6.
პ. მაჩაბელი — ქანდაკება (წერილი), № 7; ბერძნული ქანდაკება (წერილი), № 10; რომაული ქანდაკება (წერილი) № 12.
ნ. კიკნაძე — ეგვიპტური ქანდაკება (წერილი), № 8.
ნ. ალადაშვილი — მესოპოტამიური ქანდაკება (წერილი), № 9.

განყოფილებები

იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს? — № 1, 5, 8, 11.
პიონერული კაბადონი — № 3, 6, 9.
ოქროს საწმისი — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
ახალი წიგნები — № 1, 2, 3, 4, 6, 7, 9, 10, 11, 12.
ბუნების კარი — № 1, 2, 6, 7, 8, 9, 11, 12.
ჯადოსნური სარკე — № 1, 4, 5, 7, 8, 9, 10, 12.
გამოცანები — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.
იუმორი — № 1, 7.
საინტერესო თემაზე — № 2, 7, 8.
თავშესაქცევი — № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.


## ႫႠႰႠႣႨႳႪႨ ႾႤ

ზედ პოლარულ წრესთან მდებარეობს ისლანდიის კუნძული. მკაცრია მისი ჰავა. რამდენსაც არ ეცადნენ აქაური მცხოვრებნი, ცოტაზე მაინც გაეშენებინათ ტყე, არაფერი არ გამოუვიდათ. ვერცერთმა ხის ჯიშმა ვერ გაუძლო პოლარულ პირობებს.

და იცით, ვინ გამოიყვანა ამ გასაჭირიდან ისლანდიელები? ჩვენმა ციმბირულმა ლარიქსმა. იგი უკვე თავს იწონებს ისლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ამჟამად ლარიქსის ჭალები ამ პატარა ქვეყნის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენენ. ლარიქსის თესლი ჩვენმა სამშობლომ საჩუქრად გაუგზავნა „ისლანდია-სსრკ" საზოგადოებას.

ალბათ ყველას გაგიგონიათ იტალიის ქალაქი ვენეცია. იგი 118 კუნძულზეა გაშენებული. აქვს 400 ხიდი, ქუჩების ნაცვლად კი არხებია, ხოლო მთელი ქალაქი ლარიქსის ბოძებზეა დაყრდნობილი. ვენეციის აშენება ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში დაიწყეს. მას შემდეგ მტკიცედ დგანან ბოძები, რომელთაც თავიანთი „მხრებით უკავიათ" ეს საოცრად ლამაზი ქალაქი. როცა სცადეს, გამოეკვლიათ ეს უჩვეულო ბოძები, ნახეს, რომ ხე თითქოს ქვად ქცეულა, ისეთი მაგარია, ნაჯახის პირს არ იკარებს.



არსებობს ცნობა, რომ ვენეცია პერმის (ამჟამად ოლქი ურალში) ლარიქსის ბოძებს ეყრდნობა.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ალტაიში აღმოჩენილი უძველესი დროის ყორღანებში ჩვენამდე მოაღწიეს ლარიქსის ხის ნაკეთობებმა, რომლებიც ბრინჯაოს იარაღებითაა დამზადებული. ამ ნაკეთობათაგან ზოგიერთის ნახვა შეიძლება ლენინგრადის ერმიტაჟში. აი, რატომ ეძახიან ციმბირულ ლარიქსს მარადიულ ხეს.

ჟურნალიდან „იუნი ნატურალისტი".


გარეკანის პირველ გვერდზე — „ჯართის შეგროვება". მხატვარი სპარტაკ ცინცაძე.



მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43

ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ? თავსატეხები

## მუსიკალური ჩაინვორდი



1. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 2. ხმის სკალის მონაკვეთი; 3. მეცნიერება ბგერის შესახებ; 4. ჩქარი ტემპი; 5. მუსიკალური ნაწარმოები გუნდის, სოლისტის და სიმფონიური ორკესტრისათვის ერთად; 6. ქართველი მომღერალი; 7. პოეზიისა და მუსიკის მუზა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში; 8. სხვადასხვა სიმაღლის რამდენიმე ბგერა; 9. ცნობილი ქართველი მომღერალი; 10. იპოლიტოვ-ივანოვის სიმფონიური სუიტა; 11. ცნობილი ქართველი კომპოზიტორი; 12. კონცერტის ორგანიზატორი ბურჟუაზიულ ქვეყანაში; 13. ა. მაჭავარიანის ბალეტი; 14. სხვადასხვა ინსტრუმენტზე დამკვრელ მუსიკოსთა კოლექტივი; 15. ჩაიკოვსკის ოპერა; 16. მხატვრული კოლექტივი.

შეადგინა თბილისის 128-ესაშ. სკოლის მე-8 კლ. მოსწ. ლამარა ქურჩიშვილმა.

## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 2. ტბა აჭარაში; 5. ქალაქ ფეოდოსიის ძველი სახელწოდება; 7. მ. აუეზოვის რომანი; 10. საწვავი სითხე; 11. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 12. მცენარე; 13. ყველაზე დიდი კონტინენტი; 16. მთები აზიაში; 17. მდინარე საქართველოში; 20. მდ. ვოლგის შენაკადი; 21. მდინარე, რომელიც ლაპტევის ზღვას ერთვის; 23. სოფელი დასავლეთ საქართველოში.

**ვერტიკალურად:** 1. სამჭედლო იარაღი; 3. ტბა აღმოსავლეთ საქართველოში; 4. ტბა პამირზე; 6. საშენი მასალა; 7. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში; 8. მსოფლიოს ყველაზე ღრმა ტბა; 9. მდინარე საქართველოში; 14. მდინარე სამხრეთ ამერიკაში; 15. ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალი გეოგრაფი და კარტოგრაფი; 18. მეცნიერების დარგი; 19. ქიმიური ელემენტი; 22. სუბტროპიკული მცენარე.

შეადგინა გ. კორსანტიამ.

## ორი ბაგირი

ჭერზე ერთმანეთისაგან 30 სანტიმეტრის დაშორებით ჰკიდია ორი ბაგირი. საჭიროა მათი რაც შეიძლება ძირში გადაჭრა. ხელთა გაქვს მჭრელი დანა, თანაც იგულისხმება, რომ ბაგირზე ცოცვა შეგიძლია. როგორ მოიქცევი?



## ვაშლები

ბეზიას კალათა ვაშლებით ჰქონდა სავსე. ნახევარი ამოიღო, ზედ ერთიც დაუმატა და გივის მისცა მერე დარჩენილი ვაშლების ნახევარს, ერთი დაუმატა და ნანას მისცა. ბოლოს, მორჩენილი ვაშლების ნახევარი გიას მისცა და ზედ სამიც დაუმატა.

რამდენი ვაშლი ყოფილა კალათაში?

## პასუხი № 11-ში მოთავსებულ თავსატეხებზე

### კროსვორდი

**ვერტიკალურად:** 1. „დილა"; 4. ბუ; 5. იალტა; 6. პაგანინი; 8. ესპანეთი; 9. სპარტაკი; 12. ია; 13. ის; 14. ადათი; 15 ფა; 16. ნიორი; 18. ილიუშინი; 19. ყაბალახი; 21. აჰ; 22. ფეხბურთი; 23. იუპიტერი.



### ჩაწერეთ ციფრები



**ჰორიზონტალურად:** 1, დოლი; 2. აისი; 4. უშბა; 6. პელე; 7. ინდი; 9. საინი, 10. რემა; 11. იოდი; 15. ფარი; 17. იორი; 19. ყანა; 22. ფუტი.

### ჩაინვორდი 1917-1967

**წრეზე:** 1. მოსკოვი; 2. „ისკრა"; 3. „ავრორა"; 4. ალექსანდრე; 5. ენგელსი; 6. „ინტერნაციონალი"; 7. იორი.

**რადიუსებზე:** მარქსი; კიროვი; ლენინი; ენისეი; ტალინი; ნოგინი.

ციფრები 1917-1967 ჩაიწერება ისე, როგორც ნაჩვენებია ნახატზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ავგუსტეს დროის რელიეფი



იმპერატორ ავგუსტეს ქანდაკება.



მამაკაცის
პორტრეტი
(გვიანრომაული ხანა)






ქალის
პორტრეტი
(გვიანრომაული ხა



მდ. ნილოსის
სიმბოლური
ქანდაკება